№ 2797
ხუთშაბათი,
14 აპრილი

ცნობის ფურცელი

№ 2797
ხუთშაბათი
14 აპრილი

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მ. თვეში დამატებით—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, წინადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფ. 60 № 37.

ილარიონ ეგნატეს ძე და ეგნატე სოლომონის ძე ფიცხელაურები და მღვდელი ნიკოლოოზ კახიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი საყვარელის მეუღლისა, მეორე—რძლისას და მესამე—დის

ელენე პართენის ასულის ფიცხელაურისას

გამოსვენება და დაკრძალვა 14 ამა თვისას დილის 8 საათზე, არკადის ქუჩაზე მაისურაძის სახლიდან ანჩისხატის ეკლესიაში, ხოლო იქიდან ავლაბრის პეტრე-პავლეს ეკლესიის სასაფლაოზე. (1—177—1)

გარდაცვალებულის **გიორგი ვასილის ძე გლურჯიძის** მშობლები **ნატალია** მათეს ასული, ვასილ იაგორის ძე და ძმა—ვლადიმერ ვასილის ძე გლურჯიძეები, დები—დარია ვასილის ასული კნ. ლიონიძისა და ალექსანდრა ვასილის ასული კნ. ციციშვილისა გულითადს მადლობას უძღვნიან ყველას, ვინც მათ უსამძღვრო მწუხარებაში მანუგეშებელნი იყვნენ დეპეშით, წერილით, თუ პირადათ. (1—2085—1)

გამოვიდა და იყიდება ახალი წიგნი

ბრძოლა არსებობისთვის

დრამატიული პოემა 4 მოქ. და 7 სურათად და სხვა პოემები და ლექსები

დ. გაბრუაშვილისა

გამოცემა „გუთნისა“, ფასი 60 კაპ.
ვინც ნაღდზე იყიდის 20 ცალს, მანეთზე 40 კაპ. დაეთმობა. მსურველთ მიმართონ „ქ. შ. წ. კ. ს.“ და იოსებ იმედაშვილის წიგნის მაღაზიებს. (6—165—6)

იყიდება

„ПОЛНЫЙ КУРСЪ ВИНОГРАДАРСТВА“

გ. ფოეკსისა, რუსული თარგმანი ფასი 5 მ. 50 კ. საწყობი: თელავი, საუფლისწულო უწყების წინანდალის სარდაფი. (3—126—3)

ქართული წარმოდგენა ვეტცელის თეატრი.

სამშაბათს, 19 აპრილს, ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

კომედია 4 მოქმ. ოსტროვსკისა, **შრომის ლუკმა** თარგ. ი. ევდოშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა, ტ. აბაშიძე, ნ. დავითაშვილი, ვ. ნებიერიძისა და ნ. ჯავახიშვილისა; ბ-ნი ვ. აბაშიძე, ს. სვიმონიძე, ი. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ზ. საფაროვი, გ. იორდანაშვილი და სხვა.

ანტრაქტებში ბ. **კავსაძის** ლოტბარობით ქართული **ხორო** შეასრულებს რამდენსამე სიმღერას.

ადგილების ფასი 30 კ. ვიდრე 1 მ. და 50 კაპ. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

რეჟისორი **ვ. აბაშიძე** გამგენი: **ზ. საფაროვი და ბ. ბეგლარიძე.**

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი

მ ო ს დ ი ს ყოველ-კვირა

ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის

შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.

ნიკოლოოზის ხიდი, №№ 25—30.

ვ უ რ ჩ ე ვ თ

ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს. ფასი ხელ-საყრელია.

შ ე უ ვ ა ჭ რ ე ბ ლ ა დ. (0—3)

ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი

ა. ვ. გაიდამაკინისა და ამხ.-სა.

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ შევიძინეთ მთელი საქონელი ამიერ-კავკასიის საწყობებისა, რომელიც ეკუთვნოდა შემდეგ ქაღალდის ქარხნების ადმინისტრაციას: ქაღალდის ქარხანას გ. ი. პალლიზენს და კომპ., რჟევის ქაღალდის ქარხნის ამხანაგობას და კოშელევის ქარხნების სააქციონერო საზოგადოებას.

გარდა ამისა ჩვენი სავაჭრო სახლი წარმომადგენელია **ფინლიანდიის საუკეთესო ქარხნებისა**, რომელნიც ეკუთვნიან სააქციონერო საზოგადოებას **კიუმმენეს, კუზანკოსკისა და ვოიკისას**, სადაც მზადდება ყოველ წელს სხვა-და-სხვა ხარისხის ქაღალდები. ფოსტის, საწერი, სასტამბო, საალბომო და სხვა, აქვს მილიონ მანეთზე მეტად ღირებული; აგრეთვე რუსეთის ქარხნების—**სპოსობინისა და კროტოვის** გორბატის ქაღალდის ქარხანათა ამხანაგობისა, სადაც მზადდება უმაღლესი ხარისხის ფოსტის, საწერი და სხვა ქაღალდი, და **ნ. ნ. ბრაკერის** ქარხნისა, სადაც მზადდება სახვევი ქაღალდები და პარკები.

ვურჩევ რა შეიძინონ ზემო აღნიშნულ ქარხნების ქაღალდი, ვსთხოვ პატივცემულ საზოგადოებას ყურადღება მიაქციოს ჩვენ სავაჭრო სახლს, კეთილ ინებოს და დაგვიკვეთოს საქონელი. თვითეულ დაკვეთას ავასრულებთ ბეჯითად და კეთილ-სინიდისიერად.

გოლოვინის პროსპექტი, მანთაშევის სახლი. (10—2)

ქუთაისში გახსნილია **იაფი ვაჭრობა**

ყოველ გვარ საწერ და საკანცელარიო ნივთებისა

(10—6კ—10) სავაჭრო სახლი **ი. გოკიელოვის შვილები**

ტ ფ ი ლ ი ს ი ს

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჩიჩინაძე. კბილის 8—9 საათ.

ბ. ბ. მაღალაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. გალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.

ნ. ტ. მუღინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

ი. დ. დაყვაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

ძ. მ. მაჭახელოვი. შინაგ. და ბავშვ. 12—1.

დ. ა. ბლდიშაიშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.

ექ. ქალი ე. ა. იოხელიანი.—ქალისა და საშვილოსნოსი, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ძ. ნ. ღიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.

ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

ს ა ღ ა მ ო ს:

ს. ი. მაჩაბელი.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ავადმყოფებს აქვს ოთხი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ერთს 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

ბავშვების ექიმი

ა. ი. გალარჯიშვილი

კიევის უნივერსიტეტის ბავშვთა სნეულებათა კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს მხოლოდ 15 წ. ასაკამდე ყოველ დღე 11—12 წ.

მიხეილის პრ. № 115. ნემცების ეკკლესიის გვერდით ტელეფ. 729. (30—91—30)

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

ბინავს და: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდისა (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდი.

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 11.

კბილის ექიმი

ე. ი. გალარჯიშვილი

იღებს ავადმყოფებს 10—2 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—278—15)

ქ. ბათუმში

ექიმი ა. გ. მაღალაშვილი

მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.

ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში კომერციულ ბანკის სახლი. (60—403—54)

ე ქ ი მ ი

ა. ნ. ღ ი ა ს ა მ ი ძ ე

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი ფოსტის პირდაპირ № 18. (60—28—57)

ნამდვილი ცელულიარული

თესლი აბრეშუმისა

ბაღდადის ჯიშისა, ოსმალეთის საუკეთესო ფირმებისა

ა. პ. ზახარიადისა.

ერთად-ერთი წარმომადგენელი კავკასიაში **ძმ. პასკალიდისისა** აგრეთვე ვყიდი საჯიშო თესლს ბაღდადის ჯიშისას. მსურველთ შეუძლიანთ აგრეთვე ჩემგან შეიძინონ თესლი ოსმალეთის და საფრანგეთის საუკეთესო ფირმებისა. 20 აპრილამდის მიჰმართეთ: ტფილისში, სოლოლაკი, ლერმონტოვის ქ. № 18 და 20 ერამოვის სახლი. (30—429—24)

რუსეთ-იაპონიის ომი

დ ე პ ე შ ე ბ ი

რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

12 აპრილი

ლონდონი. ბრიტანიის ხმელთაშუა ზღვის ესკადრა მალტიდან მარმარიკაში წავიდა, საცა, ატლანტიის ესკადრასთან ერთად, სატაქტიკო მანევრებს გამართავს.

საიგონი. რუსის 18 გემი კამრანის ბუხტაშია; მათში ურევია „სვეტლანა“ და „ორიოლი“, აგრეთვე გერმანიისა და სხვების ხუთი ტრანსპორტი. რუსის უკანასკნელი კონტრ-ნაღმოსანი უკან გაჰყვა როჟესტვენსკის.

ტოკიო. აქ ეშინიათ, ჩინეთს არ შესწევს იმდენი ძალა, რომ ნეიტრალიტეტი დაიცვასო. იაპონია ძლიერს პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ „ასკოლდ“-ი დიდს მზადებაშია და წასვლას აპირებს.

გონკონგი, 12 აპრილი. გერმანიის კრეისერის კომანდირი მოხსენებას ჰგზავნის, ფორმოზის სრუტეში იაპონიის სამხედრო გემი დავინახე, რომელსაც ბუქსირით მოჰყავდა მეორე, ძალზე დაზიანებული, სამხედრო გემიო.

შანხაი. იაპონიის ნაღმოსნები ყოველღამე ანათებენ პროჟექტორებით იაპონიის ზღვის ჩრდილოეთს ნაწილს და აგრეთვე სუნგარისა და ლაპერუზოვის სრუტეს და მიზნად აქვთ არ გაუშვან როჟესტვენსკის ესკადრა. ალბად, იაპონიის გემი ფორმოზის სამხრეთით დადის. ჰფიქრობენ, ღრუბლიანი ამინდი ხელს შეუწყობს როჟესტვენსკის ფორმოზის აღმოსავლეთით გასხლტესო. ჩინეთის მთელი სანაპირო იაპონელთ ჯაშუშებით არის გავსილი.

ფილადელფია. ჰამონტმა, რუზველტის პირადმა მეგობარმა, სიტყვა სთქვა ეხლახან პოლიტიკურ მეცნიერებათა ამერიკის საზოგადოებაში და ის აზრი გაატარა შიგ, რომ იაპონია, რომელიც კორეიის სიუზერენია, შესაძლებელია, მანჯურიისაც გახდეს და ძლიერ სერიოზულ მეტოქეობას გაუწევს ამერიკას შორეულ-აღმოსავლეთში. მაშინ ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რა საზღვაო ძალები ექნებათ ამერიკასა და ინგლისს შორეულ აღმოსავლეთის წყლებში.

მოსკოვი, 12 აპრილი. დილის სამ საათზე ცეცხლი გაჩნდა ბრომლეის სამანქანო ქარხანაში, რომლის სამ-სართულიან კორპუსში შეგროვებულმა გაზმა იფეთქა. დაიწვა მძიმედ 15 ცეცხლის მქრობელი და მათი მეთაური ბრანდ-მაიორი ლიუტანსკი. ზარალი 60 ათას მანეთამდეა.

ბერლინი. აქაურ პოლიტიკურ წრეებში განსაკუთრებითს მნიშვნელობას არ აძლევენ კრიტოსის მანიფესტაციებს. როგორც სჩანს, შეუძლებელია, რომ მფარველმა სახელმწიფოებმა დამშვიდებით უცქირონ კუნძულის წინააღმდეგობას და მოითმინონ, რომ იგი საბერძნეთს შეუერთდეს. მოდარაჯე ჯარები ჯერ კიდევ კრიტოსზე არიან და სუდის ბუხტაში რამდენიმე სამხედრო გემია. სწორედ ამ ჟამადაა ძლიერ საშიში კრიტოსის საბერძნეთთან შეერთება. თუ მაკედონელებმაც კრიტოსელებს მიჰბაძეს, მაშინ ევროპას ძლიერის ცეცხლის ჩაქრობა მოუნდება.

მალტა. კრიტოსისაკენ გაემართნენ ინგლისის კრეისერები.

მოსკოვი. გუბერნატორმა აცნობა საგუბერნიო საერობო თავმჯდომარეს, მოსკოვში, 22 აპრილისთვის დანიშნულ საყოველთაო-საერობო სიეზდზე, არც თავადაზნაურებს და არც კერძოზე, არ დაგროვეთ ნებაო.

ლოძი. პოლონეთის დღესასწაულმა, რომელიც სამს დღეს გრძელდება ხოლმე, მშვიდობიანად ჩაიარა. გამტყუნდა ხმები, რომლებითაც ვითომც ქალაქში ებრაელთა და გერმანელებისთვის უნდა ეცემათ.

ბერლინი. საფრანგეთის პრესის ის ნაწილი, რომელიც ინგლისელებს უჭერს მხარს, სცდება, როცა ფიქრობს, რომ აქ უკმაყოფილებას იწვევს დელკასეს მინისტრად დარჩენა. მინისტრად ვინც უნდა იყოს, სულ ერთია. აქაური პოლიტიკა შეურყეველი დარჩება მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ საფრანგეთს მაროკოს პროტექტორატი უნდა ჩაიგდოს ხელში; გერმანიას კი დაჟინებული აქვს მაროკოს დამოუკიდებლად დარჩენა.—ინგლისის გაზეთებისაგან გავრცელებული ხმები, ვითომც გერმანიას სურდეს გაიფართოვოს შანტუნში საზღვრები, ტყუილია. გერმანია ითხოვს, რომ ჩინეთში, როგორც სხვაგან, დაცულ იქნას ღია კარების პრინციპი და არავის არ მიეცეს რაიმე უპირატესობანი.—უაზროა ის ცნობა, ვითომც ამერიკას განზრახვა ჰქონდეს მიჰყიდოს იაპონიას ფილიპინები 400 მილიონ დოლლარად, რათა ამით შეაჩეროს მან იაპონიის ემიგრაცია ამერიკაში. იაპონიის ემიგრაციას მიზნად აქვს ჩინეთი, საითკენაც იგზავნება ბუდის სარწმუნოების მღვდლები პოლიტიკურ პროპაგანდისთვის. იაპონელები ჩინეთს ადრე დამუშავებულ პლანით აშენებენ და უგზავნიან მას თავიანთ ინსტრუქტორებსა და მოხელეებს.—ბერლინის სადიპლომატო წრეები ცუდათ გააკვირვა იმ ამბავმა, რომ საფრანგეთი მზადაა დაკმაყოფილდეს იაპონიის მოთხოვნები როჟესტვენსკის ესკადრის შესახებ მაშინ, როდესაც ინგლისელები კვერს უკრავენ მის მოქმედებას.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

12 აპრილი

ჩიფუ, 12 აპრილი. („რეიტ.“). კორეიდან ხმები მოდის, ტოგოს ფლოტის მეტი ნაწილი 7 აპრილს მოზანპოს ყურეში იყოო.

კუროკის არმია, ფუზანის გზით, 11 აპრილი. საღამოს მუკდენში მოვიდა ახალი მატარებელი, რომელიც ხუნხეს დროებით ხიდზე გამოსულა. რამდენიმე დღის შემდეგ დაიწყება მიმოსვლა რკინის გზით დალნისა და მუკდენს შორის.

ბერლინი, 12 აპრილი. ვოლფის სააგენტო არღვევს რეიტერის დეპეშას ცზინტაუდან, ვითომც გერმანიის კრეისერი „შპერბერ“-ი შეხვედრიოდეს ფორმოზის სრუტეში იაპონიის სამხედრო გემებს და იუწყება, რომ „შპერბერ“-ი არ ყოფილა 9 აპრილს ფორმოზის სრუტეში; ის 18 მარტს გავიდა შანხაიგუნიდან ცზინტაუში და 11 აპრილს ცზინტაუდან გონკონგს წავიდაო.

ლონდონი, 12 აპრილი. კანოკ მაკკოლი „ვესტმინსტერ გაზეთ“-ში უსაფუძვლოდ სთვლის იაპონიის პროტესტს რუსის ესკადრის კამრანში დადგომის შესახებ. საფრანგეთის წესებით არაა განსაზღვრული, რამდენს ხანს შეიძლება ომის დროს ნეიტრალურ ნავთ-სადგურებში გაჩერება, ინგლისის წესდებით კი 24 საათია დანიშნული დრო. იაპონიას არ აქვს ნება ითხოვოს ინგლისის დახმარება. ყველაზე უფრო რუსეთს აქვს ნება დახმარება სთხოვოს საფრანგეთს, რადგანაც იაპონიამ დაარღვია კორეიის ნეიტრალიტეტი, რომელიც სახელმწიფოებიდან იყო მიღებული. იაპონიამ დაიჭირა რუსეთის სამხედრო გემი ჩინეთის პორტში და ჩინეთის ხუნხუზები ებრძვიან რუსებს იაპონელთ მეთაურობით.

გუნჩული, 11 აპრილი. ჩინელები იუწყებიან, რომ იაპონელები აღმოსავლეთით მოდიან ჩვენს მარცხენა ფრთისაკენ. იაპონელებს საომარი და საკვები სურსათი შემოაკლდათ.

სინგაპური, 12 აპრილი. („რეიტერი“). შაბათს საღამოს მულომბრანის სიმაგრეში, სინგაპურთან დაატყვევეს ერთი რუსი, რომელიც თავის-თავს ვლადიმერ ანტონის ძე ორვიჩს უწოდებდა, პასპორტი სხვის სახელზე არა ჰქონდა; მას ბრალად ედება ნება დაურთველად ცხოვრება, იმ ადგილში, რომელიც მთავრობას ეკუთვნის. ჰფიქრობენ, რომ ის ჯაშუშია.

მოსკოვი 12 აპრილი. მოსკოვ-ყაზანის გზის საქონლის სადგურზე მოსკოვში, იმ დროს, როცა შორეულ აღმოსავლეთში მატარებლით ჯარს გზავნიდნენ, ეშელონის უფროსის თანაშემწე პორუჩიკმა გოლდიბოვმა რევოლვერი დასცა და იქვე გააგორა უბრალო ჯარის კაცი მარჩენკო, რომელსაც რაღაცის შესრულებაზე უარი ეთქვა და სიტყვებით შეურაცხყოფა მიაყენებინა უფროსისთვის.

ბორდო. ლუბე დაესწრო გამბეტას ძეგლის კურთხევას.

პეტერბურგი. გარდაიცვალა სახელმწიფო საბჭოს წევრი კროვსკი.

პეტერბურგი, 12 აპრილი. კოსტრომის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა „კოსტ. ღისტ.“-ში შემდეგი ცნობა მოათავსა: „ხელმწიფე იმპერატორმა ამა წლის 30 მარტს, როცა მე წარვუდგე მას ცარსკოე სელოში, კეთილ ინება და მიბრძანა ვაუწყო კოსტრომის თავად-აზნაურობას შემდეგი მისი სიტყვები: „შეურყეველია სურვილი ჩემი ხალხის წარმომადგენლობის მოწვევაზე და შინაგან საქმეთა მინისტრი ყოველ ღონის ძიებას ხმარობს, რაც შეიძლება, ჩქარა შესრულდეს იგი“

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსეთისა და იაპონიის ფლოტის მოქმედება. 18 რუსის გემი ჯერაც კამრანის ბუხტაში დგას. 9 აპრილს ერთ მეთევზეს 20 გემი ნატრანგის ბუხტაში ენახა, კამრანის ჩრდილოეთით. რუსის კრეისერები და მენახშირე გემები კუნძულ ხაინანთან (ჩინეთისაა) მისულან და იქ ქვა-ნახშირი დაუღვიათ. შანხაიში ჰფიქრობენ, იქნება რუსის ესკადრამ ჯანყში ფორმოზას აღმოსავლეთით გავლა მოახერხოსო.

ბატავიაში კუნძულ იავაზე რუსის საავადმყოფო გემი მისულა. რუსები ამ გემებს მტრის დასაზვერად ხმარობენო. „იენინგ სენ“-ის კორესპონდენტს კამრანიდან 30 მილზე სამხრეთით დიდი სამხედრო გემები უნახავს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ მიმავალი. ეს გემები და საავადმყოფო გემი, ბატავიაში მისული, ალბად, ადმ. ნებოგატოვის ესკადრას ეკუთვნისო. გონკონგში ირწმუნებიან, ნებოგატოვის ესკადრა 15 აპრილამდე შეუერთდება ადმ. როჟესტვენსკისაო.

იაპონიის უმთავრესი ფლოტი, ალბად, ფორმოზას სრუტეში დადისო, მაგრამ ამავე დროს კორეიდან იუწყებიან, ხმა დადის, ადმ. ტოგოს ფლოტის მომეტებული ნაწილი 7 აპრილს მოზამპოს ყურეში იდგაო. მოზამპოს ყურე კორეის სრუტეში მდებარეობს, კუნძულ ცუსიმას პირდაპირ. იაპონიის ნაღმიანი გემები სუნგარისა და ლაპერუზას სრუტეებს ჰდარაჯობენ და ღამე პროჟექტორებით ანათებენ. იაპონიის საავადმყოფო გემი სამხრეთისაკენ მიმავალი უნახავთ, მდინარე იანცზეს შესართავის პირდაპირ, კუნძულ სედლთან.

გერმანიის კრეისერ „შპერბერ“-ის უფროსს 9 აპრილს ფორმოზას სრუტეში იაპონიის სამხედრო გემები უნახავს ჩრდილოეთისაკენ მიმავალი; იაპონელებს ბუქსირით ერთი ძლიერ დაზიანებული სამხედრო გემი მიჰყავდათო, მაგრამ „ვოლფის სააგენტო“ გადაჭრით უარ-ჰყოფს ამ ცნობას.

პეტერბურგიდან ატყობინებენ „ტაიმს“-ს: ამ დროს კუნძულ ფორმოზასთან მუდამ დიდი ჯანყი დგას ხოლმე; ამიტომ რუსის სამხედრო წრეებს ძლიერ ეშინიანთ, ვაი თუ ამ ჯანყმა იაპონიის ნაღმიან გემებს რუსის დიდ გემებზე დაცემა გაუადვილოსო. („რ. ს.“).

უცხოეთის პრესის აზრი მომავალ საზღვაო ბრძოლაზე. ინგლისურ გაზ. „პალ-მალ გაზეთ“-ი ამბობს: ადმ. როჟესტვენსკი ეხლა-კი ხაფანგში გაება, და ამ ხაფანგიდან ვეღარ გამოძვრებაო. იაპონელებმა თავისუფლად შეუშვეს ჩინეთის ზღვაში და ეხლა ხელიდან აღარ გამოუშვებენო. („რ“).

გერმანულ გაზ. „ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: არა მგონია, რუსის ესკადრამ ვლადივოსტოკის პორტამდე მიაღწიოს. ადმ. ტოგო გარემოების დაკვალად მოიქცევა და შეიძლება, დიდი საზღვაო ბრძოლა არც კი მოხდეს. შეიძლება, იაპონიის ნაღმიანმა გემებმა და წყალ ქვეშ მავალმა ნავებმა ნაღმებით დააზიანონ და ჩასძირონ რუსის გემებიო. („რ.)“

გერმანულ გაზ „ნაციონალ ცაიტუნგ“-ის სამხედრო მიმომხილველი ჰფიქრობს, რუსის ფლოტს არც ისე გაუჭირდება ვლადივოსტოკს მისვლა, როგორც ჰგონიათო. ყველაფრიდან სჩანს, რომ ზღვაზე ბრძოლა მალე არ მოხდება. ადმ. როჟესტვენსკი, ჩემის აზრით, უვნებლად, უზარალოდ მივა ვლადივოსტოკს, იქ გემებს შეაკეთებს და აქტიურ მოქმედებას შეუდგებაო.

გრაფი რევენტლოვი სწერს „ბერლინელ ტაგებლატ“-ში: ვლადივოსტოკის კრეისერები გაშლილ ზღვაში შეუერთდებიან ადმ. როჟესტვენსკისაო. რაც უფრო მხნედ მოიქცევიან და სწრაფად ივლიან ეს კრეისერები, მით უფრო მეტი გემი დასჭირდება ადმ. ტოგოს იმათ მოსაძებნადა და დასაჭერადაო.

როგორ მოიქცევა ადმ. როჟესტვენსკი. ფრანგული გაზ „ეკო დე პარი“ სწერს: ადმ. როჟესტვენსკი ადმ. ნებოგატოვის ესკადრას მოუცდის. ეს ესკადრა აპრილის ნახევარზე ადრე ვერ შეუერთდება. ზოგი საზღვაო საქმის მცოდნე ჰფიქრობს, იქნება ადმ. როჟესტვენსკი იაპონელებს მეოთხე ესკადრის მოსვლამდე არ შეებრძოლოსო. მაგრამ მეოთხე ესკადრა ჯერ არ გასულა ბალტიის ზღვიდან, ავგისტოს დამდეგს ძლივს ჩავა სუეცში და მხოლოდ სექტემბერში შეუერთდება როჟესტვენსკის. იაპონიის ფლოტი-კი, რასაკვირველია, მანამდე უსაქმოდ არ გაჩერდება და გულგრილად არ დაუწყებს ცქერას რუსის ფლოტის შეერთებასა და გაძლიერებას. გინდ ადმ. ნებოგატოვმა როგორმე მოახერხოს შეერთება ადმ. როჟესტვენსკისთან, იმედი არაა, რომ მეოთხე ესკადრამაც მოახერხოს ასეთი შეერთება. მაგრამ არც თითონ ადმ. როჟესტვენსკი მოუცდის მეოთხე ესკადრას. ძნელი გამოსაცნობია, როგორ მოიქცევა მომავალში რუსის ადმირალი, მხოლოდ იმისი თქმა კი შეგვიძლიან, რომ განსვენებულ ადმ. მაკაროვივით, ადმ. როჟესტვენ-

სკი გაბედულ მოქმედების მომხრეა. ადმ. როჟესტვენსკის ერთის წლის წინად საუბრის დროს ეთქვა „პტი პარიზიენ“-ის კორესპონდენტ რიშარისათვის:

„ჩვენ აღარ გავიმეორებთ იმ შეცდომებს, წინად რომ ჩაიდინა ჩვენმა ფლოტმა. ჩემის აზრით, როცა იაპონიის ფლოტი დაეცა, ჩვენი ფლოტი თითონაც უნდა დასცემოდა იაპონელებს და მედგრად ებრძოლა, სანამ სულ არ დაიღუპებოდა; ყველაფრით უნდა ებრძოლა, რაც-კი ხელთა ჰქონდა, ზარბაზნებით, ნაღმებით, ცულებით, ხელით, კბილით; ან უნდა გაემარჯვა, ან დაღუპულიყო. სჯობდა, მთელი ფლოტი ერთბაშად დაღუპულიყო, ოღონდ იაპონიის საზღვაო ძლიერება-კი შეერყია.

ალბად, ადმ. როჟესტვენსკი ეხლაც ამ ტაქტიკას დაადგება. („ნ. დ.“)

სამხედრო მოქმედება ხმელეთზე. მანჯურიაში საყურადღებო ბრძოლა არა მომხდარა-რა. მხოლოდ მოწინავე რაზმებს მოსდით წვრიმალი შეტაკება; ალბად, სამხედრო მოქმედებას ცუდი ამინდიც აფერხებს. იაპონელებიცა და რუსებიცა ჯერ-ჯერობით პოზიციებს ამაგრებენ, გზები გაჰყავთ, ხიდებს აშენებენ, სამხედრო და საკვებ სურსათს იმზადებენ, მაშველ ჯარს ელიან, და ერთმანეთის ჯარსა ჰზვერენ. ხანდახან რუსებს მეტად ძვირად დაუჯდებათ ხოლმე იაპონიის ჯარის დაზვერვა. ამას წინად გაძიადანიდან იუწყებოდნენ, ინპანისაკენ წასულ რუსის მზვერავ რაზმს 5 კაცი მოუკლეს, 20 დაუჭრეს და 51 დაეკარგაო.

„რუს“-ს 2 აპრილის თარიღით ატყობინებენ ჩანჩავაძიდან: ხმა დადის, კუანჩენძიდან 120 ვერსტზე, ჩრდილოეთ-დასავლეთით, საზღვრის დამცველმა რაზმმა აღმოაჩინა, რომ იაპონელები გვერდიდან უვლიან რუსის ჯარსაო. წინ ორ რაზმად, თითო რაზმში 3 ათასი კაცია, ხუნხუზები მიდიან, შემდეგ იაპონიის კავალერია—რამდენიმე ათასი კაცი—მისდევს 22 ზარბაზნითა, ქარავანს—ათასამდე ურემს—ხუნხუზები მისდევენო. მონგოლიის საზღვარი კუანჩენძიდან 40 ვერსტზეა, ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ. რუსის არმიის უკანაც დადიან ხუნხუზები. ამას წინად 150 ხუნხუზი ერთის დივიზიის ქარავანს დაეცა. გაგზავნილმა ესკადრონმა ვერსად იპოვა ხუნხუზები; ეს არც საკვირველია, რადგან ხუნხუზები ყაჩაღები როდი არიან და სოფლებში ცხოვრობენ, რუსის ჯარის გვერდზე და არა ტყესა და მთაში.

[illegible] ობინებენ ხარბინიდან 6 [illegible] ით: მოწინავე რაზმებს [illegible] ება მოსდით. რუსის მარცხენა ფრთაზე უფრო დიდი შეტაკება ხდება ხოლმე, რადგან იქ იაპონელებმა შედარებით მეტი ჯარი მოიყვანეს. ყველაფრიდან სჩანს, რომ იაპონელები ეცდებიან ხარბინსა და ვლადივოსტოკს შუა რუსის ჯარის წრე გაარღვიონ... ხუნხუზები ხელახლად გაჩნდნენ და 4 აპრილს ღამით, რკინის გზის აღმოსავლეთ ტოტზე სადგურ იმიანპოსთან რუსის რაზმს დაეცნენო.

რუს გლეხების გადასახლება.

დიდი ხანია რუსის გლეხობა სტოვებს თავის ადგილს და ბედის საძებნელად განაპირა ქვეყნებისაკენ მიემართება. დიდი ხანია საზოგადოებამ და მთავრობამაც ყურადღება მიაქცია ამ დიდ მნიშვნელოვან მოვლენას და სცდილობენ ასე თუ ისე მოაწესრიგონ იგი.

გადასახლებას, რასაკვირველია, გაჭირვება იწვევს: ხალხი მომრავლდა, მიწის შემოსავალი-კი ისევ წინანდელი ან, ხშირად, ნაკლებიც არის და რა ჰქნას გლეხმა, თუ ქალაქს არ მიაშურა ან ახალ ადგილებზე არ გადასახლდა.

მაგრამ გადასახლებას მხოლოდ მაშინ ექნება რაიმე მნიშვნელობა გლეხის ქონებრივ მდგომარეობისათვის, როცა ყოველ წლიურ გადასახლებულთა რიცხვი ნაკლები არ არის იმაზე, რაც რიცხვი ყოველ წელს ემატება მცხოვრებთ.

მაგრამ არის-კი იმდენი „ახალი ადგილები“, რომ ყველა მსაჭიროებელი დააკმაყოფილოს?

ამ კითხვაზე დასაბუთებულ პასუხს იძლევა ა. ა. კაუფმანი, რომელმაც ამ მოკლე ხანში ვრცელი მოხსენება წაიკითხა პეტერბურგის გეოგრაფიულ საზოგადოებაში.

მარტო შიდა გუბერნიებში ყოველ წელს ემატება მცხოვრებთ 450 ათასი სული, გადასახლებით-კი დიდი დიდი-დიდი 200 ათასი სახლდებოდა, ისიც მთელ ევროპის რუსეთიდან.

რა არის მიზეზი ამ მოვლენისა? რუსეთის იმპერია ხომ ერთობ ვრცელია?

რუს გლეხებს გადასახლება შეუძლიათ ყირგიზების ველებზე, ციმბირში, თურქესტანში, ამიერ-კავკასიაში და ევროპის რუსეთის სახაზინო ადგილებზე.

გირგიზის ველებზე სამი მილიონი დესიატინა მიწა მიუზომეს რუსის გლეხებს და „ვეჭვობო, ამბობს კაუფმანი, რომ იქ კიდევ იყოს თავისუფალი ადგილები: ადგილობრივ მცხოვრებთაც (ყირგიზებს) აქვთ უფლება იმ მიწების და ჩვენ ვერ წავედავებითო“. არა თუ მეტი თავისუფალი ადგილი არ არის ყირგიზის ველებზე, უკვე მიზომილი ადგილებიც არსებითად საჭირო იყო ყირგიზებისათვის, მაგრამ „მაღალი პოლიტიკა“ და მოხელეების ცნობილი თვითნებობა, თუ შემდეგშიაც ბატონობა შერჩათ, კიდევ ბევრ „თავისუფალ“ ადგილებს აღმოაჩენენ.

ციმბირში დიდძალი ადგილებია, მაგრამ რუსის გლეხი თუ ნაცნობ, შეჩვეულ ნიადაგიან მიწაზე არ დაასახლეთ, ვერ იხეირებს და ისევ უკან ბრუნდება. ასეთი ადგილები კი ციმბირშიაც უკვე დაკავებული ყოფილა, ასე რომ უკანასკნელ დროს თითქმის ნახევარი იქ გადასახლებულებისა ისევ რუსეთში დაბრუნებულა.

და ეს საკვირველიც არ არის: რუსის გლეხი განთქმულია თავის საანდაზო უვიცობით, მიუმზადებლობით, არავითარი ინიციატივა არა აქვს, ისე დაბეჩავებულია პოლიციისაგან, და, თუ განსხვავებულ, მისთვის უცნობ პირობებში მოხვდა, უმწეო, უსუსური ბავშვია. აბა ინგლისელი ან ამერიკელი დაასახლეთ ციმბირის „ტაიგაში“, როგორი ცხოვრება მოაწყონ!

თურქესტანი, კაუფმანის აზრით, მარტო სამხრეთ რუსეთლებისათვის არის გამოსადეგი, მაგრამ აქაც არიან ადგილობრივი მცხოვრებნიო. გარდა ამისა, ჯერ საჭიროა მოეწყოს მთელი სისტემა სარწყავ არხებისა, რაც რამდენიმე ასი მილიონი უნდა დაჯდეს, ამასთან ის წყალი, რომელიც სარწყავად უნდა გამოიყენონ, რამდენადმე (?) თურქმენების საკუთრება არის და ჯერ ის არის გამოსარკვევი, არის კი აქ ზედ-მეტი წყალი?

ყირგიზის ველების არ იყოს, აქაც დიდძალი ადგილები ირგუნეს რუს-მოხელეებმა ან ამათ ფავორიტებმა, გადასახლებულ გლეხებსაც კარგა ბლომა მიუზომეს, მიუხედავათ ზემოთ მოყვანილ გარემოებათა.

„საგანგებო მნიშვნელობა არც ამიერ კავკასიას აქვს რუს-გლეხების დასახლების საქმისთვისო,—ამბობს კაუფმანი,—რადგან უდიდესი ნაწილი თავისუფალ ადგილებისა 5—7 ათას ფუტის სიმაღლეზეა და ამიტომ რუსებისათვის გამოუსადეგარიაო; გარდა ამისა, როგორც გამოირკვა ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო კომიტეტების სხდომებზე, ზოგან აქაც არიან უადგილ-მამულო მცხოვრებნიო“ და სხვა.

„თავისუფალი“ მაღალი ადგილები, ალბად, ის საძოვარი ადგილებია, ურომლოდაც მთელი მთა შიმშილით უნდა ამოწყდეს. ასე რომ, რუსებისათვის ძალიან გამოსადეგიც იყოს ეს საძოვრები, მთის მცხოვრები მეცხვარენი მსხვერპლად უნდა შესწირონ რუსეთიდან გადმოსახლებულებს, თუ აქ მათ დაასახლებენ.

და მერე ვისთვის ან რისთვის არის საჭირო ამისთანა მსხვერპლი? რომელი „სახელმწიფო“ ინტერესი თხოულობს ქართველ ან საზოგადოთ ამიერ-კავკასელ გლეხის შევიწროვებასა და განადგურებას?

კაუფმანი და ბევრიც სხვაც ცხადზე უცხადესად ამტკიცებენ, რომ რუს გლეხებს გადასახლება ოდნავადაც არ შეუმსუბუქებს მდგომარეობას; „გადასახლება რუსეთში ყოველთვის იქნება ნიშანი სოფლის არანორმალურ ეკონომიურ მდგომარეობისა და თავის დღეში ვერ გახდება გლეხის მეურნეობის გამაუმჯობესებელ ფაქტორად... ფუჭი ოცნებაა ამაზედ ფიქრი... რუსის გლეხის ეხლანდელ გაჭირვებულ მდგომარეობას შეამსუბუქებს ახალი ფორმანი. ეს კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ გლეხი კულტურულად ამაღლდება“.

მიუხედავათ ყველა ამისა, ახალ-ახალ გადმოსახლებულთ ერეკებიან ამიერ-კავკასიისაკენ, ახალ-ახალ „თავისუფალ“ ადგილებს უმზადებენ მათ; ადგილობრივი გლეხობა-კი იძულებულია მის სისხლით და ოფლით მორწყულ ადგილ-მამულს შორიდან უყუროს გულ-დაწყვეტილი.

აი, ასეთია ბიუროკრატიის პოლიტიკა, რუსეთის მკვიდრთათვის გამოუსადეგარი და ჩვენ მშრომელ ხალხის დამჩაგვრელი.

ახალი ამბავი

◆ როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები გადმოგვცემენ, **კავკასიის ნამესტნიკი გრაფი** ვორონცოვ-დაშკოვი 21 აპრილს წამოვა პეტერბურგიდან ტფილისს.

◆ როგორც ვწერდით, **ოზურგეთში დაპატიმრებულნი**, ექიმი ქოლოშვილი და სხვანი, ამ დღეებში უნდა გადაესახლებინათ რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილას. ეხლა გავიგეთ, რომ კავკასიის ნამესტნიკის გრაფ ვორონცოვ-დაშკოვისაგან მოვიდა დეპეშა, შეაჩერეთ დაპატიმრებულნი და ჩემ ჩამოსვლამდე ნუ გადაასახლებთო.

◆ როგორც „კავკაზ“-ი გადმოგვცემს, გზათა მინისტრმა შემდეგი განკარგულება გაუგზავნა დეპეშით რკინის გზის უფროსებს, მათ შორის კავკავისა და ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსებსაც. „ომიანობის დროს სახაზინო და კერძო რკინის **გზებზე მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატება**, ჩემის აზრით, ხაზინის შევიწროვება იქნება. ამის გამო ვავალებ რკინის გზების უფროსებს ნუღარ მომმართავენ თხოვნით ამ საგნის შესახებ, რადგან ამგვარი თხოვნა დღეს ბოროტ-მოქმედებადაა ჩასათვლელი.

◆ ტფილისის გუბერნატორი აცხადებს შემდეგს: ორშაბათს, 11 აპრილს, დაიწყო **სახლებში მოსამსახურეთა გაფიცვა.** ვაცნობებთ გაფიცულ მოსამსახურეთ, რომ, მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებლის დადგენილების ძალით, უკვე დაპატიმრებულია რამდენიმე ათი კაცი, რომელნიც ემუქრებოდნენ და ძალას ატანდნენ გაფიცვის არა მსურველთ. რადგან არავის არა აქვს უფლება ძალა დაატანოს და მუშაობა შეაწყვეტინოს იმათ, რომელთაც სურთ განაგრძონ სამსახური, ვაუწყებ გაფიცულთ, რომ დამნაშავენი ძალმომრეობისა და მუქარის მიმდევარნი, დაისჯებიან, იმათ კი, რომელნიც განმეორებით ხელს შეუშლიან შრომის მსურველთ, ქალაქში ცხოვრება აეკრძალებათ“. („კავკაზ“).

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის მოურავს ალიხანოვის საკანდიტეროს ერთმა მუშამ შემდეგი განუცხადა: საკანდიტეროს სახელოსნოში ამ ორი დღის წინად ღამის 3 საათამდე ვმუშაობდი. შემდეგ გამოვედი გარედ შინ წასასვლელად. ამ დროს წამომწვდა პოლიციელი და ამ სიტყვებით „ბუნტოვშჩიკოო“, წამიყვანა პოლიციაში, სადაც **შეუბრალებლად მცემესო.** ნაცემ მუშას ზურგი რამდენგანმე დალურჯებული აქვს. მუშას ეს ამბავი უცნობებია აგრეთვე პროკურორისათვის. მოურავმა ურჩია მუშას გუბერნატორთან წასვლა.

◆ 13 აპრილს **გაიფიცნენ** უსახელო საზოგადოების ელექტრონის მთავარ სადგურის მუშები და მოთხოვნები წარადგინეს: 8 საათის სამუშაო დღე, ვისაც 1 წლიდან 5 წლამდე უმსახურნია, დათხოვნისას მიეცეს $1^1/_2$ თვის ჯამაგირი ჯილდოდ; ვისაც მეტი უმსახურნია, მიეცეს მთელი წლის ჯამაგირი ჯილდოდ; მუშების მიღება-დათხოვნა მუშებისავე საქმე უნდა იყოს და სხვა. დასასრულ თხოულობენ თავისუფლებას სიტყვის, ბეჭდვის, ყრილობის, კავშირის, გაფიცვის, სინიდისის, ხელშეუხებლობას პიროვნებისა და ბინისას, დამფუძნებელ კრების მოწვევას საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და საიდუმლო კენჭის ყრით.

◆ რადგან უსახელო საზოგადოებამ არ შეასრულა კონდუქტორ-ვაგონების მოთხოვნილებანი, გუშინ დილიდანვე **შესწყდა ქალაქში ელექტრონის ვაგონების მიმოსვლა.** ვაგონები დადის მხოლოდ ავჭალის ქუჩაზე. ტრამვაის მოსამსახურეებთან ერთად გაიფიცნენ ელექტრონის სადგურის ტეხნიკოსებიც. გუშინ 10 კაცამდე მივიდა ქალაქის მოურავთან და სთხოვა ნება მიეცეთ კრების გამართვისა. გუბერნატორმა დაიბარა მოსამსახურეთაგან [illegible] წარმომადგენელი.

◆ როგორც „კავკაზი“ გვაცნობებს, ქუთაისის გუბერნიის **სასოფლო სკოლების მასწავლებელნი** გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილან იმის გამო, რომ სასოფლო საზოგადოებათ არ შეაქვთ ხაზინაში ფული სკოლების შესანახად. ზოგ მასწავლებელს ენკენისთვიდან არ მიუღია ჯამაგირი. ამგვარსავე მდგომარეობაში არიან ტფილისის გუბერნიის ზოგიერთ მაზრის მასწავლებელნიც. გორის, ტფილისის, სიღნაღისა და თელავის ბევრ სასოფლო საზოგადოებას არ შეაქვს სასკოლო ფული ხაზინაში.

◆ კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიამ შეატყობინა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, რომ გენერალმა მალამამ შეიწყნარა სამეურნეო საზოგადოების მიერ აღძრული შუამდგომლობა შავი ზღვის პირად მყოფ **მეთამბაქოეთა შესახებ** და ნება დართო მათ, რომ იჯარით აიღონ თამბაქოსთვის მიწები კიდევ ერთის წლის ვადით, 1906 წლის გაზაფხულამდე, ე. ი. იმ დრომდე, ვიდრე დათესილ თამბაქოს სრულად არ მოჰკრეფენ და არ გაჰყიდიან. რაც შეეხება იმას, მიეცეთ თუ არა მოიჯარადრეთ უფლებანი სამთა-მადნო საქარხნო მრეწველებისა, ამ საქმის გადაწყვეტა გადაიდო ნამესტნიკის გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის ჩამოსვლამდე.

◆ ეს მეორე კვირაა, რაც **ენფიანჯიანცის თამბაქოს ქარხნის მუშები გაფიცულნი არიან.** მათი უმთავრესი მოთხოვნება: 8 საათის სამუშაო დღე; ნაჭრობით მომუშავეთათვის ფასის მომატება; სამუშაო „პორციების“ შემცირება; გაფიცვის დროს ქირა არ მოუსპონ; გაფიცულები არ დაითხოვონ; ზრდილობიანი მოპყრობა; წელიწადში ერთხელ ერთი თვით შინ დათხოვა ჯამაგირის მოუსპობლად; უფასოდ ექიმობა ავადმყოფთათვის და ნახევარ ჯამაგირის შენახვა, აბანო თვეში ორჯერ.

◆ ტფილისის **ვაჟთა გიმნაზიაში ეგზამენები** დასრულდება 13 მაისს.

◆ კავკასიის იურიდიული საზოგადოება შეუდგა იმ კანონის პროექტის შემუშავებას, რომელიც შეეხება **სარწყავ წყლით სარგებლობას** კავკასიაში. პროექტის განხილვის დროს მონაწილეობის მისაღებად კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ წარმომადგენლებად დანიშნა შან-გირეი, ტარატინოვი და ა. ს. ფირალოვი.

◆ 11 აპრილს ოლგას საბებიო ინსტიტუტის მოსამსახურენი (12 კაცი) გაიფიცნენ და შემდეგი მოთხოვნანი წარუდგინეს თავის მთავრობას: ჯამაგირების 20% მომატება; 5 მოსამსახურის მომატება; ავად-მყოფობის დროს უფასოდ წამლობა და საავადმყოფოში დაწვენა, საჭმლის გაუმჯობესება; ზრდილობიანად მოპყრობა; თვეში ერთხელ აბანო ინსტიტუტის ხარჯით; ხალათი, ფართუკი და ფეხსაცმელი (ჩუსტები) ინსტიტუტის ხარჯით; უფასოდ ბინა ან ბინის ფული; საცვლების რეცხვა ინსტიტუტის ხარჯით; წელიწადში ერთხელ ერთი თვით „ოტპუსკი“ ჯამაგირის გამოურიცხველად; მოსამსახურეთა მიღება და დათხოვა თვითონ მოსამსახურეთა საქმე იყოს; ზედამხედველი ქალი უდიერად გვეპყრობა და

ფელეტონი

საეკლესიო-სამრევლო სკოლა ამიერ-კავკასიაში

(დეკანოზ ი. ვოსტორგოვის მოხსენება).

1904 წლის 14 დეკემბრისთვის საქართველოს საექსარხოსოს საეკლესიო სკოლების მეთვალყურეს დეკანოზს ვოსტორგოვს წაუკითხავს პეტერბურგის სასწავლო მუზეუმის შენობაში თავისი მოხსენება ამიერ-კავკასიის საეკლესიო-სამრევლო სკოლების შესახებ. მოხსენება მოუსმენიათ უწმ. სინოდის და მასთან არსებულ სამოსწავლო საბჭოს წევრებს და სხვა საპატიო პირთა. ეს მოხსენება სავსებით არის დაბეჭდილი რუსულ სასულიერო პედაგოგიურს ჟურნალს „Народное образованіе“-ს მარტის ნომერში. ჩვენ ვეცდებით მოკლედ გავაცნოთ მკითხველებს ამ მოხსენების შინაარსი.*)

ამიერ-კავკასია რუსისთვის მეტად საინტერესო ქვეყანაა. მისი სტრატეგიული მდებარეობა რუსთა სახელმწიფოსათვის რუსეთის მსოფლიო მოწოდებასა და ისტორიულ სვე-ბედთან ერთად, რუსულის საეკლესიო საქმის მომავალი ამ განაპირა მხარეში,—ყველა ეს უნებლიედ ყურადღებას იპყრობს. ჩრდილოეთი კავკასია (სადაც ვოსტორგოვი დაბადებულა) სულ სხვა პირობებშია. იქ ძლიერია რუსთა გავლენა. ჩრდილოეთ კავკასიის ადგილობრივი მკვიდრი ორს ნაწილად გაიყო: ერთი ნაწილი, რომელსაც არ სურდა რუსთა ხელში ყოფილიყო, სათათრეთში გადასახლდა, მეორე ნაწილი-კი ძლიერ სწრაფად გარუსების გზას დაადგა. ამ გარუსებას ხელი შეუწყო ვაკე ადგილ-მდებარეობამ, ადგილობრივ მკვიდრთა სალიტერატურო და საპოლიტიკო გარდმოცემათა უქონლობამ და რუსის გლეხების გადმოსახლებამ.

ამიერ-კავკასია-კი ასეთი არ არის. აქ დიდი სხვა-და-სხვაობაა ადგილ-მდებარეობისა და ერებისა. საქართველოს სამეფო ძველად დაარსდა კახეთის და ქართლის მინდვრებზე და შავის-ზღვის ნაპირებზე და ქართველმა ერმა შთანთქა ამ ადგილების ძველი მკვიდრი ერი. საქართველოს სამეფომ თავისი პოლიტიკური არსებობა დაჰკარგა ამ ასის წლის წინად. ამიერ-კავკასიის ზოგიერთს ერებს ცოცხლად ახსოვთ თავის პოლიტიკურ დამოუკიდებლობის დრო. მათ საპატიო ადგილი ეჭირათ ისტორიაში. ხუთის საუკუნით რუსეთზე ადრე მიიღეს ქრისტიანობა; შექმნეს თავისი სალიტერატურო და სადვთისმსახურებო ენა. მართალია, ყოველივე ეს იმდენად მდიდარი არ ჰქონდათ და არც ახლა არის, მაგრამ ესეც საკმაოა, რომ ასაზრდოვოს ეროვნული თვით-შეგნება, განსაკუთრებით ჩვენს დროში, როდესაც ყველგან ეროვნული მოძრაობაა.

მართლ-მადიდებელთა რიცხვი ამიერ-კავკასიაში დაახლოვებით ერთი მილიონია, ესე იგი 1/7 მთელის მხრის მცხოვრებთა. თუმც ასე ცოტაა მართლ-მადიდებელთა რიცხვი, მაგრამ მათ შორის ეროვნულად დიდი განსხვავება არსებობს. ყველას სჭარბობენ ქართველები. მაგრამ თვით ქართველების შესახებ უნდა ვთქვათ, რომ ერთი არაა „ქართული“ და „ქართლური“, ისე როგორც ერთი არაა რომაული და გერმანული. საზოგადოდ ჰფიქრობენ, რომ საქართველო წარმოადგენს ერთეულს ენისა, სარწმუნოებისა, ზნე-ჩვეულებისა და ადგილ-მდებარეობის მხრით. ჰფიქრობენ, ვითომ მთელი საქართველო თავის ნებით შეუერთდა რუსეთსა ასი წლის წინად, ვითომ ყველა ქართველი მართლ-მადიდებელია, ვითომ მათ აქვთ ერთი ენა და ერთ-ნაირი ხასიათი, მაგრამ საქმით კი ასე არ არის.

რუსეთს შეუერთდა თავისი ნებით ქართლ-კახეთი, 1801 წელს. სხვა ადგილები კი რუსმა სისხლითა და ხმლით აიღო: ბაქო, განჯა, ერევანი, ყარსი, ახალციხე, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი და სოხუმი. ეს გარემოება მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ რაიმე შეცდომა არ ჩავიდინოთ, როდესაც სახელმწიფო ინტერესთა შესაბამ საქმეს გადავსწყვეტთ. ქართლ-კახეთი სტირალს მდგომარეობაში იყო რუსეთთან შეერთების დროს. ქართლ-კახეთის სამეფოს წეს-რიგი სრულიად აწეწილ-დაწეწილი იყო. მეფის შვილები ტფილისში არაფერს არ ერიდებოდნენ სადიდისათვის (მათი რიცხვი 100-მდის ადიოდა); იმათი მოსამსახურეები მიდიოდნენ ავლაბარში და აქ გაჭრებს და მშვიდობიან მოქალაქეებს თავს დაესხმოდნენ და ძალით ართმევდნენ სანოვაგეს. ისეთი შემთხვევაც ყოფილა ხშირად, რომ მოწინააღმდეგე გაჭრებს კალათაში ჩასვამდნენ და ხიდიდან მტკვარში ჩაუშვებდნენ და გააჩერებდნენ იქ, მდინარის ამ საშიშ ადგილს, სანამ არ დათანხმდებოდნენ, მიეცა მათთვის მოთხოვნილი ფული ან ნივთები. გადარიბებულმა საქართველოს მეფემ ირაკლი მეორემ ბევრი ქართული ტაძარი სომხებს მიჰყიდა (სიღნაღს, თელავს და ტფილისს). ქართლ-კახეთში არც ერთი სასწავლებელი არ არსებობდა. საეკლესიო საქმე სრულიად დაცემული იყო. საეკლესიო სკოლამ გამოაცოცხლა საქართველო წარსულ საუკუნის მეოთხმოცე წლებიდან. საქართველოს საეგზარხოსოს სამღვდელოება დღესაც თითქმის უვიცია.

ქართლ-კახელები—ფრიად სიმპატიური ერია, გულ-კეთილი, მარტივი, სტუმართ-მოყვარე, მშვიდი. მაგრამ ამასთან ეს ერი ზარმაცია, უმოძრაო და თანაგრძნობით არ ეკიდება სკოლას და ეკკლესიას. დღემდის „ჩინარის ჩრდილს ქვეშე მძინარა ქართველი თავისს ჭრელს შალვარს ღვინის ქაფით ასველებს“. ქართლ-კახელებს წირვა-ლოცვაზე სიარული არ უყვართ. თვით შარდენიც ამასვე მოწმობს. (XVII საუკუნ). მკითხავთა გავლენა დიდია ხალხზე. დღესასწაულებს ქეიფით და ლოთობით ატარებენ. სახლებში ხატები არა აქვთ. გულზე ჯვარს არ ატარებენ; არ ესმით არც წირვა, და არც ლოცვა. აი სად შეუძლიან საეკლესიო სკოლას ბევრი რამ გააკეთოს. საეკლესიო სკოლები ძლიერ ცოტაა აქ. ეკლესია და ხალხი სკოლის შესანახად არაფერს იძლევა. არა თუ სკოლაში არ აძლევენ ბავშვებს, პირიქით, მშობლებს ჰგონიათ, რომ ხაზინიდან მათ ჯამაგირი დაენიშნებათ, თუ სკოლაში ბავშვს მისცემენ. სოფ. წინანდალში ერთმა მოხუცმა ქალმა მთხოვა ფული იმისთვის, რომ იმისი შვილი-შვილი სკოლაში დადიოდა. ქართულ სკოლების რიცხვს იმერული სკოლებიც ეკუთვნის. იმერლები—ცოცხალი, მარჯვე, მოძრავი, ვაჭრობის მოყვარე და სწავლაში ნიჭიერი ერია. იმერეთში სკოლებს აფასებენ. ბავშვებიც აქ კარგად სწავლობენ. მაგრამ იმერლები, სკოლის კურსის დამთავრების შემდეგ, ქალაქებისკენ მიდიან, აქ ისინი ლაქიებად, მზარეულებად დგებიან და ან ვაჭრობას მისდევენ; ზოგიც რკინის გზის სამსახურშია. იმერთა მონათესავეებად ითვლებიან გურულები. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც გურიაში მალავდნენ ყოველსავე მოპარულს; აქედან დიდი ხანი გასათხოვარი ქალები სათათრეთში გასასყიდად მიჰყავდათ. აქვე ჰყიდდნენ მოპარულ ცხენებს; აქვე იმალებოდნენ ავაზაკები და სხვა ბოროტ-მოქმედნი. გურია დღემდის ცნობილია, როგორც უწესოების, ძარცვა-გლეჯის და ავაზაკობის ბუდე. გურულები და იმერლები ქართულად ლაპარაკობენ, მაგრამ სხვანაირი გამოთქმა აქვთ, ყოველს შემთხვევაში ქართული ენა მაინც ესმით.

ხევსურები და ფშაველებიც ქართულად ლაპარაკობენ. ესენი გაქართველებული ჩაჩნები არიან. ისინი პატივს სცემენ მგლის, წიწილიან კრუხის, ბეღურის, ცეცხლის და ქარის დღეებსა. თუშებს, ცოტას გარდა, ქართული ენა არ ესმით. თუშ-ფშავ-ხევსურები ქურდი, ლოთი, ფიცის გამტეხი, შურის მაძიებელი, ნათესავის უარ-მყოფელი და მრუში ხალხია.

ქართულ სკოლებად ითვლებიან სვანური სკოლებიც. სვანები ზნეობით საშინლად დაცემულნი არიან. სვანები თავიანთს ენაზე ლაპარაკობენ. იმათ სრულიად არ ესმით ქართული ენა. ამისდა მიუხედავად დღემდის სვანეთში წირვა-ლოცვა და სკოლაში სწავლება ქართულად სწარმოებდა: შეიძლება ამის ბრალიც იყო სვანთა ზნეობრივი დაქვეითება.

ცოტათი ესმით ქართული ენა მეგრელებს და აგრეთვე სამურზაყანოელებს. ამისდა მიუხედავად სამეგრელო-სამურზაყანოში წირვა-ლოცვა ქართულს ენაზეა; სკოლებშიაც ამ ენას ასწავლიდნენ უკანასკნელ დრომდის. სამურზაყანოელებს ქართველებთან საერთო არაფერი არა აქვთ და ქართული ენა სრულიადაც არ ესმით. სამურზაყანოში სწავლება და ღვთის მსახურება უნდა სწარმოებდეს პირ-და პირ რუსულად. მეგრელები—უდაოდ ქართველთა ტომს ეკუთვნიან, მაგრამ მეგრული ენა ძლიერ დაშორდა ქართულს ენას, ისე, როგორც ლიტვური რუსულს: ამას თვით სწავლულნიც ამბობენ... ამის გამო, უკეთუ მეგრულ სკოლაში ქართულს ასწავლიან, ბავშვები ორს ახალს ენას სწავლობენ: ქართულს და რუსულს. აი ამისთვის ამ ჟამად სამეგრელოს სკოლებში ასწავლიან მხოლოდ საეკლესიო ქართულს ენას, ხოლო ქართულ სასაუბრო ენის სწავლება-კი ამ სკოლებში აკრძალულია. მეგრელები ზნეობით ფრიად დაცემულნი არიან. ცრუ მორწმუნეობას, მკითხავთა პატივისცემას, ფიცის გატეხას დიდი ადგილი აქვს მეგრელთა შორის.

ბევრია გამაჰმადიანებული ქართველი საინგილოსა, ახალციხე-ახალქალაქის და ბათუმის მხარეს. ამათი რიცხვი 100,000 მეტია.

აფხაზები—ნიჭიერი ხალხია. ზნეობით-კი დიდად დაცემულნი არიან. აფხაზეთში ბოლო დრომდის ასწავლიდნენ ქართულად და წირვა-ლოცვაც ქართულადვე სრულდებოდა. ახლა-კი სკოლებში პირ-და-პირ რუსულად ასწავლიან და

---

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, რათა გავაცნოთ მკითხველს იმ კაცის აზრ-შეხედულება კავკასიის ერებზე, რომელიც მთელ კავკასიის სწავლა-განათლების საქმეს განაგებდა. რედ.

ოხოვნილ იქნას. ინსტიტუტის მთავრობამ ადგინა, ყველა აქ ჩამოთვლილ მოთხოვნილების (გარდა უკანასკნელისა, ამის შესახებ ზედამხედველ ქალს დაავალეს ზრდილობიანი მოურობა) დაკმაყოფილება და თავისი მოხსენება წარუდგინეს, სადაც ჯერ არს. 13 აპრილს მოსამსახურეებმა დაიწყეს ხელ-ახლა მუშაობა და განაცხადეს: თუ ეს მოთხოვნები არ შეგვისრულეთ, ხელ-ახლა გავიფიცებითო.

✦ ი. იმედაშვილი გვთხოვს დავბეჭდოთ: გულითადეს მადლობას ვუცხადებ სოფ. შმის იმ მცხოვრებთ, რომელთაც ჩვენის ოფლის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს უნუგეშო მდგომარეობას ყურადღება მიაქციეს და ამ წლის (1905) ქართულ ჟურნალ-გაზეთების დასაკვეთად ფული შემოსწირეს: ნინო იაკობის ასულმა რინდაშვილმა 5 მან., დომენტიმ—3 მან., რიგოლ ბარძიმაშვილმა—1 მ., ა. იაკობაშვილმა—1 მ. 50 კ., შ. ბაზაზაშვილმა 1 მ. ულ თერთმეტი მანათი და ათი შაური. სამკითხველოს სხვებმაც აღუთქვეს დახმარება“.

✦ ტფილისის საბჭოს დარბაზში, გუშინ, 13 აპრილს, მოხდა კრება ბოზარჯიანცის იმ მუშების, რომელთაც ამოიგეს ბოზარჯიანცის მიერ თვისებული 7,404 მან. მუშებმა დაადგინეს ანაწილონ ეს ფულები თავიანთ შორის.

✦ ტფ. ქალთა საკვირაო სკოლის მასწავლებელნი გვთხოვენ დავბეჭდოთ: „ნება გვიბოძეთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ 8 აპრილს საქველმოქმედო წარმოდგენაში მონაწილეობის მიღებისათვის ყველას, ვინც-კი თანაგრძნობა და დახმარება აღმოგვიჩინა, განსაკუთრებით-კი ქ-ნ ნ. ჩხეიძეს, ბ-ნთ კუნიას, რიძეს და ლობჟანიძეს უსასყიდლოდ დახმარებისთვის.“

✦ 11 აპრილს, საღამოს $5^{1}/_{2}$ საათზე, ბათუმში, ადგილობრივ გაზეთის სიტყვით, ოთხი შეიარაღებული კაცი შევარდნილა ქალაქის გამგეობაში. გაუფუჭებიათ ტელეფონები. შემდეგ მოუთხოვნიათ გასაღები, მაგრამ კასირი იქ არ ყოფილა. შესდგომიან კასის ტეხას, მაგრამ ვერ გაუტეხნიათ, ასე რომ ხელ-ცარიელნი წასულან.

✦ 13 აპრილს, დილის 6 საათზე, სოფელ მცხეთიდან მონავალა ფოსტის ფურგონი; მცხეთის საფეხურზე, როდესაც მცხეთის ხიდს მიახლოვებულა ფურგონს ველარ შეუჩერებია ცხენები და მოსახვევში დასჯახებია კედელს, რომელიც დანგრეულა და წყალში ჩავარდნილა თვით ფურგონი, სამი ცხენი და კაცი. მეოთხე ცხენი გადარჩენილა. მეფურგონე დახრჩობისაგან გადურჩენია რკინის გზაზე მოსამსახურეს ესტატე ალიბეგოვს.

✦ ქალაქის გამგეობამ განიხილა პოლიციის მე-7 ნაწილის მცხოვრებთა თხოვნა ამ კუთხის „გომარეთა“-ის გაუმჯობესების შესახებ. გამგეობამ დაადგინა სთხოვოს გუბერნატორს, გააუქმებინოს ბაზაროვსა და ავაზოვს ქალაქის ამ ნაწილში აგურხანები, შეკეთდეს ხიდი, დაიდგას 6 ფარანი, ხოლო ქუჩების დაგეგმვისა, მოკირწყვლისა და აგრეთვე წყლის გაყვანის შესახებ მოხსენების შედგენა დაევალოს საამშენებლო განყოფილებას.

✦ ბათუმში, როგორც ადგილობრივი გაზეთი გადმოგვცემს, მოუკლავთ მთელ ქალაქში ცნობილი ხაზი, სახლის პატრონი ხალილ-აღა სამან-ოღლი. მიზეზი, როგორც ამბობენ, შურის-ძიება ყოფილა. ერთი წლის წინათ ერთ ყმაწვილ კაცს მოუტაცნია და ცოლად შეურთავს ხალილ-აღას ლამაზი ქალი. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს ყმაწვილი მოკლული უნახავთ. ეჭვი ხალილ-აღაზე მიიტანეს და მიტომ მოუკლავთ.

იმერეთის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება

9 აპრილი

ქუთაისში დიდ-ძალი თავად-აზნაურთა თავ-მოყრილი. ბულვარში რა დროსაც გინდა: დილით, შუადღისას თუ საღამოთი ჯგუფ-ჯგუფად არიან შეგროვილნი და ყველგან რო მიხვიდე ერთსა და იმავეს გაიგონებ, გურული, გინდა მეგრელი, ზემო, თუ ქვემო იმერელი რაჭველი, ლეჩხუმელი—ყველას ერთი და იგივე საჩივარი აქვს... ყველა ერთმანეთს შესტირის.

მეათე საათი იქნებოდა შაბათს—ყველა ეს ჯგუფები გაემართნენ ქალაქის თეატრისაკენ. დარბაზი თეატრისა გაჭედილია თავად-აზნაურობით. ქანდარაც სავსეა მანდილოსნებით და მოსწავლე ახალგაზრდობით. სცენაზე მწვანე მაუდის ფენილს მაგიდას უსხედან გუბერნიისა და მაზრების წინამძღოლნი. ორ ლოჟაში კორესპონდენტებს მოუთავსნიათ.

თორმეტის ნახევარი იქნებოდა დარბაზში მოვიდა ვიცე-გუბერნატორი კალაჩოვი, გახსნა კრება, უსურვა მას წარმატება და წავიდა.

თავმჯდომარემ, გუბერნიის წინამძღოლმა თავ. ს. დ. წერეთელმა, მოახსენა კრებას უპირველესად თავად-აზნაურთა სასწავლებლის გიმნაზიად გადაკეთების ამბავი, რომელ საქმისათვისაც საშუამდგომლოდ იყო იგი პეტერბურგში. რამდენი შრომა და მეცადინეობა დასჭირდა, სხვა გამოცდილ პირთა შემწეობითა და დახმარებით სასურველად დაებოლოვებინა ეს საქმე, წინააღმდეგ ადგილობრივ სამოსწავლო ოლქის უფროსებისა, რომელნიც წინ ეღობებოდნენ ამ საქმეს. აცნობა აგრეთვე კრებას, რომ იგი წარსდგა ხელმწიფის წინაშე, მიულოცა თავად-აზნაურთა სახელით მემკვიდრის დაბადება და მოეხსენებინა, ჩვენის ქვეყნის ახლანდელ დროის ვითარების ამბავი. ამ საგნის შესახებ ორი ვრცელი ეპისტოლე დაიწერა იქვე პეტერბურგში, რამდენიმე შეგნებულ პირთა შემწეობით, და წარედგინა. ეს ეპისტოლეები წიგნაკად დაუბეჭდიათ კიდეც რუსულს ენაზე. ზოგიერთებმა მოითხოვეს ამ წიგნაკის წაკითხვა, მდივანი კიდეც შეუდგა მის კითხვას, მაგრამ ისა თქვეს, რომ რუსულის მცოდნეთ წაკითხული აქვთ კიდეც ეგ ეპისტოლეებიო და ქართულად ითარგმნება და დაგირიგდებათო. დ. ო. ნიჟარაძემ მოკლედ გააცნო კრებას ეპისტოლეების შინაარსი: აქ არაფერი არაა დავიწყებული, ჩვენი მოთხოვნილებანი სავსებით არის აღნიშნული და ჩვენი ჭირ-ვარამი ვრცლად აწერილიო...

თავ. დ. იაშვილი (შორაპნის მაზრელი). ბატონებო, რა გვეეპისტოლება და გვერესკრიპტება ან გვემანიფესტება—დღეს სხვა საქმე გვაქვს, სხვა ვაი და ჭირი დაგვეცა თავზე და ამის წამალი გამოგვიძებნეთ. ამდენი დრო აღარა გვაქვს. შინ დატოვებული ცოლ-შვილის ჯავრით აღარა ვართ და აქაც შიშით ვცახცახებთ საკუთარ თავისთვის. გვისაშველეთ რამე, შეგვარიგეთ გლეხებთან.

ბევრმა ბანი მისცა ამ ორატორის სიტყვებს. ყველანი თითქმის ერთსა და იმავე კილოზე გოდებდნენ. ერთმა მოხუცმა ჯაფარიძემ დასძინა, რომ აგერ სამოცდათოთხმეტის წლის კაცი ვარ, ბევრს რასმე შევსწრებივარ ჩემს ცხოვრებაში, ბევრი მინახავს, მაგრამ ასეთი უბედური დრო კი არ მახსოვსო; მე გლეხ-კაცობას კი არ ვამტყუნებ, რომ ამისთანა შავი დღე დაგვიტრიალდა თავად-აზნაურებს—ეს სულ ჩვენივე ღვიძლი შვილების საქმეა სულო. იმათი მორჯულებაა საჭირო. ჩამოჰკრეს ზარი და—თავისუფლება გლეხებსო, ჩამოკრეს მეორედ და—გლეხებს თქვენი ყოფა-ცხოვრებაო და რა ვიცი ახლა მესამედაც არ ჩამოჰკრეკენ, არ გვეტყვიან—გლეხებს თქვენი ცოლები და ქალიშვილებიო...

სხვათაც ილაპარაკეს ამ კილოზე. დ. ო. ნიჟარაძე ურჩევს თავად-აზნაურთ მოთმინებას და კიდე მოთმინებას ლმობიერად, როგორც ეს სჩვევია ჩვენს გულ-მოწყალე მოწინავე წოდებასაო. ბევრი საჭიროებაა ეხლა მომწიფებული, ვიქონიოთ მოთმინება. კ. ძღენტმა იგივე სთქვა, რაც ბევრმა სხვამ, ხელის გულებს უშლის საზოგადოებას—აი, ასე ვმუშაობო, ჩემის ხელებით ვშრომობო და მაინც არ მაყენებენ—ცოცხალი დამხვდება ჩემი ცოლ-შვილი თუ არა, არ ვიციო. სული აღარ მაქვს და გულიო. თუ შეიძლებოდეს, ახალი გუბერნატორი რომ არის, შვილია ჩვენის ქვეყნის და მოვახსენოთ, ჩვენი გასაჭირი, ვაცნობოთ და შევიდეს ჩვენს მდგომარეობაშიო...

ილ. მ. ჩიქვანმა წაიკითხა თავისი ვრცელი წერილობითი მოხსენება. კრებამ ერთგულად დაუკრა ტაში. კრებას მეტი გაცხარება ემჩნევა. ბევრს „სიტყვებს“ „ვაშას“ ეძახიან, ზოგს „ძირს“, „ძირს“! „ვაშა“ მიაძახეს თავ. ირ. იაშვილს, რომელმაც თავის სიტყვებში ის აღნიშნა, რომ უხერხულია რეპრესიებს მივმართოთ, უნდა ხალხს შევუერდეთ, მასთან ძმობა-ერთობა აღვადგინოთო. „ძირს“ დასძახეს აზნ. ი. ჩხეიძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ საჭიროა სასტიკი ზომებიო. ბატონებო, სთქვა ამ აზნაურმა, ერთს დღეს ჩამოგვირეკეს ზარი და ორი ათასამდე კაცს თავი მოგვიყარეს ჩემს სოფელში. ერთს გამხმარ კუნელაზე ასულიყო ერთი პირ-ტიტველი ბავშვი და ისეთ რამეებს ქადაგებდა იქიდან, ისეთ სიტყვებს ისროდა, რომ ეს ორი ათასი კაცი ვერხვის ფოთოლივით ვცახცახებდით... ბოლო უნდა მოეღოს ამას, უნდა ჩვენის ხელით გავაწროთ ასეთი მქადაგებელნი და წარუდგინოთ მთავრობასაო და სხვა ამისთანები... კრებას მღელვარება ემჩნევა. პროტესტი განუცხადეს ბატონის სოფლის ჩარჩ-ვექილის ასეთს განცხადებას. ბატონებო!—მიმართა კრებას თავ. კ. დ. ერისთავმა, გურიის მაზრის წინამძღოლმა.—ორი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი აქვს გადასაწყვეტი დღეს ჩვენ თავად-აზნაურობის კრებას. პირველია ადრესი, რომელიც უნდა მიერთვას ხელმწიფეს. ამ ადრესში, თანახმად უმაღლესის მოწოდებისა, უნდა გამოითქვას ჩვენი საჭიროებანი, ჩვენი ხალხის სატკივარი. მეორეა ახლანდელი ამაშფოთებელი მდგომარეობა, რომელიც გამოიწვია თავად-აზნაურთა და გლეხთა შორის მომხდარმა უთანხმოებამ. თავად-აზნაურობას უნდა და საფუძვლიანის გულის წყრომითაც მოითხოვს—გამოიძებნოს რაიმე საშუალება ამ საშინელ განხეთქილების, დარბევის, სისხლის ღვრის მოსასპობად. დღეს აქ სთქვეს (და გუშინ ჩვენს კერძო თათბირზედაც გამოითქვა ის აზრი, რომ გლეხობასთან საბრძოლველად მთავრობას, გენ.-გუბერნატორს ვთხოვოთ დახმარებაო. ამ გვარის აზრის სრული წინააღმდეგი ვარ. რეპრესიები, სასტიკი ზომები დღეს ყოვლად გამოუსადეგარია... რაღა დასამალავია, ბატონებო, ვინ არ იცის, რომ ამ ბოლო დროს მთავრობასა და იმის ყოველ გვარს ზომებს ნდობა დაეკარგა ხალხში („ვაშას“ გრიალი). კიდეც ეგ არის, რომ უმთავრეს საკითხად დღეს მიმაჩნია არა რეპრესიების თხოვნა, არამედ გამოთხოვნა იმისი, რაიც ძირიანად შესცვლის ახლანდელს წეს-წყობილებას და მთავრობას მეტს ნდობასა და პატივისცემას მოუპოვებს. მოთხოვნა ამ ცვლილებისა, ყველასათვის თანასწორად სანატრელ რეფორმებისა გამოთქმულია ადრესში და ყოვლის უწინარეს ამ ადრესზე უნდა გვექნეს დღეს მსჯელობა. რეპრესიები, სასტიკი ზომები სრულიად საჭირო არ არის... ამ ურთიერთშორის საშინელ გამწვავების დროს ხალხს ისეც ჰგონია, ეჭვობს, რომ ვითომ ჩვენ, თავად-აზნაურები მისი მოსისხლე მტრები ვიყოთ. უნდა საბოლოოდ მოისპოს ამგვარი ეჭვები ჩვენზე. ჩვენ ხალხისაგან არაფრით განვირჩევით... იმავ მისწრაფებით, იმავ გრძნობებით გვიძგერს გული, დღეს რა საჭიროა ჩვენ ფეოდალობაზე ლაპარაკი?!

ის აზრი გამოსთქვეს კიდევ, რომ ჩვენ ერთობ შეზღუდული ვართ ყოველ უფლებით, ჯერ თხოვნების ნებაც არა გვაქვს ბევრი რამესი და თუ მოვითხოვთ რამეს—ყურადღებას არავინ აქცევს—ერთის სიტყვით, არა გვაქვს სიტყვის, წერის თავისუფლება...

ეგ სიცრუვეაო,—წამოისროლა თავ. დ. იაშვილმა, აბა „ცნობის ფურცელს“ ჰკითხეთ, თუ სიტყვისა და წერის თავისუფლება არა გვქონდეს. წაიკითხეთ რა კილოს წერილები იბეჭდება ამ გაზეთშიო.

უნდა დაიხუროს ამ გვარ აზრების მქადაგებელი გაზეთებიო—ეს აზრი გამოდიოდა თავადის სიტყვაში. ბევრი „ძირს“ უკივლეს ამ ვაჟბატონს.

თავმჯდომარემ კრება შესწყვიტა ნახევარ საათით, რომ საზოგადოებას აერჩია თვის შორის ყოველი მაზრიდან იმ კომისიის წევრნი, რომელთაც უნდა გამოეძებნათ სახსარი, თუ როგორ შეიძლება გლეხთ და თავად-აზნაურთა ურთიერთობის მოწესრიგება.

კრება რომ დაიწყო, თავად-აზნაურთა უმეტესობა ისევ ერთსა და იმავე კილოზე განაგრძობდა ბაასს...

ბანკისათვის კარზე მოგვდგომიან და რით უნდა გადავიხადოთ, რომ ადგილ-მამულს ჩვენ აღარ ვფლობთო; ცალკე ხაზინა მიწის ბაჟს გვთხოვს, აქეთ კიდევ ბანკები სახელმწიფო და სათავად-აზნაურო, ჩვენ არაფრის, არც ერთის გადახდა არ შეგვიძლიანო.

სერთუკოსნებმა მოგვისიეთ ეგ ხალხი, თქვენ აამხედრეთ ჩვენზე ჩვენი უმცროსი ძმები—თქვენვე გამოსძებნეთ წამალი და შეგვარიგეთ გლეხებთანაო და სხვა ამ გვარები.

ერთად ერთი წამალიო—ესეც სთქვეს ზოგიერთებმა—ისაა, რო ისევ მთავრობას უნდა მივმართოთო.

თავ. ივ. აბაშიძეს სრულიად მოუხერხებლად, უადგილოდ მიაჩნიათ ასეთ საშუალების მოხმარება ხალხის დასამშვიდებლად. პირ-იქით, ხალხს აველურებს და რყვნის დღევანდელი წესწყობილება და არავითარი პროპაგანდა შესაძლებელი არა ამ ნიადაგზე. ახალი რამ გვჭირია, ერთად ერთი ხსნა და საშველი ამ წესწყობილების უარყოფაშიაო. ამავე აზრისა იყო თავ. დ. მიქელაძეც. იას. ბაქრაძეც დაეთანხმა და დაუმატა: დღეს მემამულეთა და მიწის მუშათ შორის საშინლად გამწვავებულია ურთიერთობა და აქ ვეძებთ წამალს ამ მოვლენის მოსასპობლად. წამალი შეიძლება ორ-ნაირი იყოს: ერთი დროებითი, ერთის თვით, წლით დამამშვიდებელი, მეორე ძირიანად მომსპობელი ამ არა სასურველ მიზეზებისა. დღეს მთელი საქართველოს ხალხი ღელავს, სცდილობს თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას; კანონებს აღარ ემორჩილება და აუქმებს დაწესებულებებს. შესაძლებელია საუკეთესო და ხალხისთვის საკეთილდღეო კანონებიც დაარღვიოს ხოლმე თითო-ოროლა წევრმა საზოგადოებისამ, ხოლო როცა კანონებს არღვევს და სთელავს მთელი ხალხი, მისი უმეტესობა—ეს იმის უტყუარი ნიშანია, რომ ეს კანონები უვარგისია და არ შეეფერება ხალხის ცხოვრებას, რომლისთვისაც გამოცემულია. სწორედ ამას ვხედავთ ჩვენში. ჩვენი ხალხის მღელვარების მიზეზი არის უვარგისი და მისთვის შეუფერებელი კანონები და, საზოგადოდ, დღევანდელი წეს-წყობილება. ამდენი ხანი ითმენდა ხალხი და დრტვინავდა—დღეს კი მიეცა შემთხვევა და სცდილობს მოსპოს სულის შემხუთავი გარემოება და ახალი შექმნას, უკეთესი. კანონები უვარგისი მიტომ არის, რომ ისინი დაწერილია ისეთს ადგილას და ისეთ კაცებისაგან, რომელთაც არამც თუ ჩვენი ცხოვრება არ იციან, ჩვენი საჭიროებანი კავკასიაც კი არ უნახავთ თავის დღეში. საჭიროა ამიტომ კანონები ჩვენშივე იწერებოდეს, ჩვენ ავ-კარგს ჩვენვე განვაგებდეთ ჩვენის ხალხის წარმომადგენელთა კრებულის მიერ. ეს უნდა ვითხოვოთ. კრებამ ორჯერ გაწყვეტინა ბ-ნ ბაქრაძეს სიტყვა, მხოლოდ ბოლოს საერთო „ვაშათი“ დააჯილდოვა. კომისიის წევრებათ, რომელთაც უნდა შეემუშავებინათ საბოლოოდ ადრესის ტექსტი და გამოეძებნათ სახსარი, თუ რა საშუალებით მოხდება მიწესრიგება ახლანდელ გამწვავებულ მდგომარეობისა თავად-აზნაურთა და გლეხთა შორის, დასახელებულ იქმნენ: ქუთაისის მაზრიდან: დ. ა. ლორთქიფანიძე, დ. ა. მიქელაძე, მ. ა. ქიქოძე, სიმ. ამირაჯიბი, ს. ნ. ლორთქიფანიძე, გ. ა. მიქელაძე, და იზ. სპ. მესხი; შორაპნის—ს. დ. წერეთელი; ა. ს. საყვარელიძე, იოს. გუნცაძე, კ. აბაშიძე, და ბ. დ. წერეთელი; სენაკისა:—ი. მ. ჩიქვანი, მ. გ. ფალავა, ბ. გ. მხეიძე; ზუგდიდისა: ნ. კ. დადიანი, ი. ქავთარაძე, ს. ლოლუა და ნ. ჯიქია; რაჭისა:—დ. ნ. ბაქრაძე, იას. ბაქრაძე, ი. წულუკიძე, ნ. ჩიკვაიძე; ოზურგეთისა—სილ. ხუნდაძე, ა. ნაკაშიძე და ლეჩხუმისა. ოთ. თ. დადეშქელიანი.

კრება გადიდვა მეორე დღისათვის.

რუსეთის ქრონიკა

მინისტრთა კომიტეტი და პოლონეთი. 6 აპრილს მინისტრთა კომიტეტს კიდევ პოლონელებზე ჰქონია თათბირი. როგორც „რუს“-ი იტყობინება, კომიტეტმა სასურველად დაინახა, რომ პირველ დაწყებით სკოლაში გაძლიერდეს პოლონურის სწავლება, არითმეტიკის სწავლება პოლონურადვე სწარმოებდეს; რუსული-კი ისევ რუსულად ისწავლებოდეს.

საშუალო სკოლაში უნდა დარჩეს საგნების რუსულად სწავლება; პოლონური და სამღვთო სჯული-კი პოლონურ ენაზე უნდა ასწავლონ.

რაც შეეხება კერძო საშუალო სკოლებს, სადაც ყველა საგნებს, გარდა რუსულ ისტორიისა და ლიტერატურისა, პოლონურად უნდა ასწავლიდნენ, კომიტეტი თანახმაა ასეთ სკოლების გახსნის ნებადართვისა, მაგრამ ასეთ სასწავლებლის გათავება არავითარ უფლებას არ უნდა აძლევდეს კურს დამთავრებულს.

მაღალ სასწავლებელში ისევ რუსული ენა უნდა იქნეს გაბატონებული, მხოლოდ უნდა გაუმჯობესდეს პოლონურ ლიტერატურის კათედრა.

კერძო საზოგადოებებსა და სასოფლო სამართველოებში შესაძლებლად დაინახეს პოლონურის თავისუფალი ხმარება, მაგრამ ის ქაღალდები-კი, რომელიც რევიზიას ექვემდებარება, პოლონურთან რუსულადაც უნდა იყოს დაწერილი.

ერობის შემოღება სასურველად დაუნახავს კომიტეტს.

სახელმწიფო სამსახურში შესვლა შემდეგშიაც გაძნელებული უნდა იქნეს პოლონელებისათვისო და სხვა.

ერთის სიტყვით, მინისტრთა კომიტეტის მიერ განზრახული რეფორმა პოლონურ საქმეებისა ისე წვრილმანი და უმნიშვნელოა, რომ პოლონეთში არსებულ უკმაყოფილებას უფრო გააძლიერებს, თუ ეს გაძლიერება კიდევ შესაძლებელია.

კავკასიის სამკურნალო საზოგადოება

12 აპრილი

კრებამ ექიმ ფიშერის თავჯდომარეობით განიხილა კომისიის მოხსენება კავკასიაში ექიმობის მდგომარეობის შესახებ. როგორც ამ მოხსენებიდან სჩანს, კავკასიის ყველა დაწესებულებათა შესანახად ყოველ წლობით გადადებულია 4,692,304 მან. სასანიტარო სამკურნალო საქმეზე იხარჯება მხოლოდ 610,837 მან. აქედან სასოფლო საექიმო საქმისთვის გადადებულია 394,069 მან., დანარჩენი ფული ხმარდება ტფილისის მიხეილის სამკურნალოსა და კავკასიის საბებიო ინსტიტუტის შენახვას. კავკასიაში თითო მაზრაზე იხარჯება 7000 მ.ნ. ანუ თითო მცხოვრებზე 7 კაპ. რუსეთში საერობო გადასახადი თითქმის იგივეა, რაც ჩვენში; იხარჯება კი იქ თითო მაზრაზე 70,000 მან., თითო მცხოვრებზე 35 კაპ. კავკასიაში სასოფლო საექიმო საქმის ორგანიზაცია დაიწყო 1886 წლიდან. როგორც იქნა, 10 წლის შემდეგ დაინიშნა თითო მაზრისთვის თითო სამაზრო ექიმი. ამ ჟამად ჩვენში თითო მაზრას ეყოლება ორ-ორი ექიმი, მაშინ როდესაც ერობიან მაზრებში 4-დან 9 ექიმამდე ანუ ორთაშუა რიცხვით 8 ექიმი. დასასრულ კომისია სწერს: 1. სასოფლო ექიმთა რიცხვი კავკასიაში საკმაო არ არის; 2. თვითეულ მაზრაში ორი ექიმის დანიშვნა საქმეს წინ ვერ წასწევს; 3 ნამდვილი სასოფლო საავადმყოფო ამიერ კავკასიაში არსად არ არსებობს, ხოლო პროექტით განზრახული საავადმყოფოები ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას; 4. უექიმობას აძნელებს უგზოობა; 5. ბრძოლა სხვა და სხვა გადამდებ სენთან ეხლანდელ საექიმო ძალით და ორგანიზაციით შეუძლებელია; 6. სასოფლო საექიმო საქმის ასე სუსტად მოწყობა ვერ გამართლდება ფულის უქონლობით. 7. ახლო მომავალში საექიმო საქმე კავკასიაში ვერ მოეწყობა, თუ დარჩება ეხლანდელი რეჟიმი; 8. ზემოდ გამოთქმულ მოსაზრებათა გამო ღრმად სწამს კომისიას, რომ ხალხის ჯანმრთელობის დაცვის საქმის ნამდვილ ნიადაგზე დაყენება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მკვიდრ მცხოვრებლებს მიეცემათ ფართო უფლებები თვით მოქმედებისათვის; ამის გამო კომისია ერთბაშად უერთდება იმ

...ორგა-ლოცვა-კი—სლავურს ენაზე სწარმოებს. ქართული ენა მოისპო აქ. სხვათა შორის, ვით აფხაზთა სურვილით, რომელნიც ამ ნას თავისთვის უცხო და უსარგებლო ენად თვლიან. ასეთი შემთხვევა იყო: ერთი დაბიდან სოხუმის ეპისკოპოსის წინაშე შუამდგომლობდნენ, რომ იქ 3000 ქართველისთვის მოიღონ ქართული წირვა-ლოცვა. გამოძიებამ მოაჩინა, რომ ხსენებულს დაბაში მხოლოდ რთი მოხუცებული ქართველი დედა-კაცი სცხოვრობდა, რომელიც გამოძიების წინა დღით სულდიო. საზოგადოდ, ამიერ-კავკასიაში ძლიერ ფრთხილად უნდა იყო ენის შესახებ საკითხის დაწყვეტის დროს. აფხაზები მაღლა დგანან ამიერ-კავკასიის ყველა ხალხებზე, რადგან ისინი რუსულს ენას მალე, ძლიერ მალე ითვისებენ და წმინდათაც ლაპარაკობენ ამ ენაზე.

არიან ამიერ-კავკასიაში ბერძნებიც, რომელთ რავლესობამ ბერძნული ენა არ იცის: ზოგი ლაპარაკობს თათრულად და ზოგი სომხურად, მიუხედავად ბერძენთა მოწინავე პირები [illegible] სკოლებში რუსულის ენის სწავლებას და ეკლესიებში რუსულს ღვთის-მსახურებას. ძნები არ უნდა იქცეოდნენ ასე. რუსთათვის ძებული თავისუფალი სახაზინო მიწები მიუზომეს, სახელმწიფო ხარჯით მათ ეკლესიები და სკოლები აუშენეს და ისინი კი მადლობის მაგივრად რუსულის ენის და სლავიანურ ღვთის მსახურების წინააღმდეგნი არიან. ნებიც ზნეობით მეტის მეტად დაცემულნი არიან.

ოსები ამიერ-კავკასიაში აქამდე ქართულს სწავლობდნენ სკოლაში და ქართულს ენაზე წირვა-ლოცვას ისმენდნენ. ბოლო დროს ქართული ოსთა სკოლებისა და ეკლესიებიდან განდევნილ იქმნა და მის ნაცვლად დამყარდა რუსული ენა. ოსებიც ფრიად დაცემულნი არიან ზნეობით. იმათი ენა რვა კილოდაა დაყოფილი, რთმანეთისა არა გაეგებათ რა.

ცხოვრობენ ამიერ-კავკასიაში სომხებიც. მათში თვით ეჩმიაძინის გარეშე, ძლიერია მართლმადიდებლობის მიღების სურვილი. არიან მართლმადიდებელი სომხები; მათთვის აშენდა ორი ეკლესია, დაარსებულ იქმნა ათი სკოლა. მათს სკოლებში სწავლება რუსულ ენაზე სწარმოებს. ამის სურვილი თვით სომხებმა გამოაცხადეს. ისიც კი უნდა ითქვას, რომ სომხურს ენას ბევრი კილო (нарѣчіе) აქვს, ასე რომ ის ენა, რომელიც სამწერლო ენათ ითვლება, ბევრს სომეხს არ ესმის.

საზოგადოდ ამიერ-კავკასიაში ერები ერთმანეთშია არეული. ქართლ-კახეთში 200 სკოლიდან 1903 წ. მხოლოდ 39 წმინდა ქართული სკოლა იყო, 34—სკოლაში კი უმეტესობა ქართველი იყო

ამიერ-კავკასიაში რუსებიც სცხოვრობენ. დიდი ხანი არ არის, რაც ამ მხარეში რუსებმა გადმოსახლება დაიწყეს; ჯერ წუნარად, ნელ-ნელა და ბოლოს კი—ძლიერ ბევრი გადმოსახლდა. 1900 წლ. 1 მაისს კანონის ძალით დადგენილ იქმნა: ამას იქით ამიერ-კავკასიის თავისუფალი ადგილები მხოლოდ მართლ-მადიდებელს რუსებს ეძლეოდეთ. აქამომდე ბევრი გადმოსახლდა და ამ მოკლე ხანში განზრახულია 100 სოფელი გაშენდეს გადმოსახლებულ რუსთათვის. ამიერ კავკასიაში დღეს წმინდა რუსული სკოლა სულ ასია. ყოველს მცირე და ახლად დაარსებულ რუსთა სოფელში გახსნილია სკოლა სახელმწიფო ხარჯზე.

რა მიზანი უნდა ჰქონდეს საეკლესიო სკოლას ამიერ-კავკასიაში? უპირველეს ყოვლისა, უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად ყოვლისა საეკლესიო სკოლა უნდა ემსახურებოდეს ღვთის ეკლესიას, რათა განმტკიცებულ იქმნას სარწმუნოება და მართლმადიდებლობა საქრისტიანოს მრავალ ტომიანს სამწყსოში.... ეკლესიას აზრად არა აქვს გარუსება. რუსულ ენის ცოდნით არავინ არ გარუსებულა. განა ცოტაა ქართველთა, სომეხთა და ბერძენთა ნასწავლი პირი, რომელნიც რუსეთისაგან განცალკევების მოძღვრებას ემსახურებიან, სეპარატისტები არიან. ისინი რუსულად მშვენივრად ლაპარაკობენ, მაგრამ განა ისინი სულით და გულით რუსები არიან?! ქართველებს და რუსებს აერთებდა და აერთებს სარწმუნოება. განა შეუძლიან მარტო და მარტო სკოლას ემსახუროს გარუსების მიზანს?! გარუსებას სხვა ფაქტორები ემსახურება: სავაჭრო საჭიროებანი, საადმინისტრაციო დაწესებულებანი, არაჩვეულებრივი სხვა-და-სხვაობა ტომთა, რომელიც (სხვადასხვაობა) თხოულობს მათის შემაერთებელის რუსულ ენის სწავლებას, სასამართლო და ყველაზე უფრო—საზოგადო სამხედრო ბეგარა. ამ ფაქტორებს უკან მისდევს საეკლესიო სკოლა და ის ამნაირად არაა უმთავრესი ამიერ-კავკასიის მკვიდრთა გარუსების საქმეში. ამის გამო საეკლესიო სკოლა არ სდევნის ადგილობრივ ენებს, სანამ ისინი ემსახურებიან საეკლესიო მიზნებს და მართლმადიდებლობის ინტერესებს. ამიტომ სკოლებში ასწავლიან საეკლესიო ენას და საეკლესიო გალობას... საერო (სამწერლო-სალიტერატურო) ქართული ენა განდევნილ იქმნა სკოლებიდან, იმის გამო, რომ ის უზნეობას ავრცელებდა (??) და საეკლესიო მიზნებს არ ემსახურებოდა...

მაგრამ უსამართლობად და პედაგოგიურის მოთხოვნილებათა საწინააღმდეგოდ ჩაითვლება, უკეთუ ასწავლიან სალიტერატურო ქართულს ენას მეგრელებს, სვანებს, აფხაზებს, ოსებს. თუ რომელსამე ერს არა აქვს მწერლობის და ღვთის მსახურების ენა, უნდა ასწავლონ რუსული და სლავიანური; არ შეიძლება ასწავლონ საეკლესიო ქართული აფხაზებს, სამურზაყანოელებს და ოსებს. რუსეთს არა სურს მოსპოს რომელისამე ერის არსებობა. მაგრამ თუ კი რომელიმე ერი მცირე რიცხვოვანია, არ აქვს სალიტერატურო ენა და ისტორიული გარდმოცემანი და ამის გამო მთელის გადაგვარება-გადაშენება, რასაკვირველია, ისა სჯობია, რომ ასეთი ერი რუსეთის ერს შეუსისხლ-ხორცდეს და რომელიმე სხვა ერი კი არ გააძლიეროს თავისის მასთან შესისხლ-ხორცებით. ეს ცხადი და სრულიად სამართლიანი საქმეა. ასეთი ხასიათისაა საეკლესიო სკოლა ამიერ-კავკასიაში.

საეკლესიო სკოლამ გააძლიერა რუსული ენის სწავლება. ამ ენაზე ასწავლიან ყველა საგნებს. ხალხის აზრით, რუსულის ენის ცოდნა ერთად-ერთი სასურველი და უმაღლესი სიბრძნეა. ერთმა ქართველმა მითხრა: „თუ შენ ორს სკოლას დაგვიარსებ, და ერთში ასწავლიან ყველაფერს ქართულად, მეორეში კი რუსულად, პირველი (ქართული სკოლა) ცარიელი იქნება ყოველთვის და მეორე კი (რუსული სკოლა)—სავსეო. ერევნის საკრებულოს ტაძრის დეკანოზთან*) მივიდნენ სომხები და გამოუცხადეს, მართლ-მადიდებლობის მიღება გვსურსო. რათა გსურთ მართლმადიდებლობის მიღებაო,—ჰკითხა დეკანოზმა. სომხებმა უპასუხეს: „ჩვენ გვსურს რუსები გავხდეთო“. დეკანოზმა უთხრა: „სანამ მართლმადიდებლობას მიიღებდეთ, უნდა შეისწავლოთ ლოცვებიო“ და მიუთითა ერთს მისსიონერზე. სომხებმა უთხრეს: „ჩვენ ის სომხურად გვასწავლის; სომხური კი არ გვინდა, რუსულად გვასწავლე; ჩვენ გვსურს რუსები გავხდეთო.

საღმრთო სჯულის და საეკლესიო ენის სწავლება მღვდლებს დაეკისრათ. კვირაში 23 გაკვეთილი რუსულს ენას აქვს დათმობილი. დიდი სამსახური გაუწია მასწავლებელთა მომზადებას ბოდბის სამონასტრო სკოლამ, სადაც სწავლობენ ქართველები, სვანები, ინგილოები, ბერძნები, აისორები, სომხები და სხვანი.

დიდი გამარჯვებაა (??) მუნჯურ მეთოდის შემოღება სკოლებში. ადგილობრივ ინტელიგენტებს კი გული უსკდებათ ამ მეთოდის შემოღებით: იმას მოსწონთ მეთოდი შედარებითი, თარგმნითი. ესენი სცდილობენ სკოლა რუსთა და ეკლესიის საწინააღმდეგო იარაღად გადააქციონ.

МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ

საეკლესიო სკოლამ დიდი ნაყოფი გამოიღო. სიღნაღის საეკლესიო სკოლების სამაზრო მეთვალყურე მღვდელმა *) მომახსენა: „ეკლესიებში ხალხი დადის; მოწაფეები გალობენ. საეკლესიო სკოლის ნამოწაფრებმა სახლებში გაიჩინეს ხატები და კანდელნი, რომელიც საქართველოს გლეხებს ჩვეულებრივ არა აქვთ“... თუშ-ფშავ-ხევსურეთშიაც ფრიად შეიცვალა მცხოვრებთა ზნე-ხასიათი. აფხაზეთი ხომ განახლდა: იქ რუსულად თავისუფლად ლაპარაკობენ და, ასე გასინჯეთ, ყანებში მუშაობის დროსაც კი გალობენ იქ ბავშვები საეკლესიო სლავიანურს ლოცვებს. თვით „Тифлисскій Листокъ“-იც კი აქებს საეკლესიო სკოლის გავლენას (1903 წ. № 59). ამ გაზეთში სწერია: „სხვა უწყების სკოლებში მოწაფეთა რიცხვი კლებულობს, თუ მათ გვერდით დაარსდა საეკლესიო სკოლა, რომელსაც ძლიერ თანაუგრძნობს ხალხი“..

მთელს ამიერ კავკასიაში 900 საეკლესიო სკოლაა, ყოველ წელს მათში სწავლობს 35,000 ბავშვი. ეს სკოლები თავგანწირვით ემსახურებოდნენ და ემსახურებიან წმიდა საეკლესიო საქმეს და დიდს საქმეს ხელმწიფისას.

იმედიანი

---

*) იქ დეკანოზად ფედოტოვია, თვით ვოსტორგოვის ამხანაგი. ვეტ.

*) იქ მეთვალყურე: სემინარიელი მღვდ. დავით იაშვილია. ვეტ.

სურვილებს, რომელნიც უკანასკნელ ხანებში ერთხმად გამოითქვა რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილის მცხოვრებათა მიერ და, სხვათა შორის, კომისია უერთდება პიროგოვის სახელობის ექიმთა მეცხრე კრების დადგენილებას, რომელიც შეეხება ბიუროკრატიულ რეჟიმის გაუქმებას და სახელმწიფოს მოწყობას. კავკასიაში შემოღებულ უნდა იქნას საერობო თვითმართველობა. ადგილობრივ თვით-მართველობებს უნდა მიეცეთ უფლება დამოუკიდებელ და თვით მოქმედ დაწესებულებებისათა.

კომისიის მოხსენებას ტაშის ცემით მიეგება კრება. კრებამ მიიღო ზემოდ აღნიშნული რეზოლიუცია.

შემდეგ კრებამ ტუბერკულეზთან მებრძოლ საზოგადოებაში წარმომადგენლებად აარჩია ორი ექიმი—ე. ფ. ფედოროვი და ოსტროვსკი.

სიმართლე ქართულ ეკლესიაზე

პროფ. ნ. მარრისა. *)

„სიმართლეს მოკლებულია“, სწერს ყოვლ. სამ. დიმიტრი, „თითქო მე, ფოთის ეპისკოპოსი ისეთის სიმძლავრით ვდევნიდი ქართულ ენას, რომ სამეგრელოს, სვანეთის და სამურზაყანოს ეკლესიებში სლავიანური სადვთისმსახურებო წიგნები გავგზავნე და განვაგებ ორ ეპარქიას, რადგან ხალხის გარუსება მწადიან“. საქმე იმაში კი არის, რომ ჯერ-ჯერობით ადრეა და უხერხო საქართველოს სასოფლო ეკლესიებში სლავიანურ სადვთისმსახურებო წიგნების გზავნა. მაგრამ ის არის, რომ არაფერი არ კეთდება არა მარტო სამეგრელოში, არამედ მთელ საქართველოში ქართულ საეკლესიო საქმის განსავითარებლად. ქართველებს, როცა თანამორწმუნე რუსეთს უერთდებოდნენ, მტკიცედ სჯეროდათ, რომ შეძლება მიეცათ თავისუფალ, სულიერ განვითარებისა და კერძოდ—ეკლესიის განვითარებისა იმ დამოუკიდებელ საფუძველზე, რომელიც საქართველოს პატარა ერმა თუთხმეტ საუკუნის განმავლობაში დაიცვა კულტურულ ბრძოლით სხვაფრივ მადიდებელ ქრისტიან ერთაგან და იარაღით ხელში წარმართთა და მაჰმადიანთაგან (სპარსნი, არაბნი, თათრები, მონგოლები და მთის პაწია თემები). ამ აზრით ქართველებმა გადასცეს რუსებს არა მარტო თავისი სამეფო, არამედ ყველა თავისი ნაციონალურ-კულტურული დაწესებულებანი, გადასცეს აგრეთვე თავისი ეკლესია. ქართველებს იმედი ჰქონდათ, რომ რუსეთის მაღალ მთავრობის ქვეშ განაგრძობდნენ თავის ეროვნულ საქმის კულტურულ განვითარებას, რომელსაც მხოლოდ ბრმა ფანატიკოსები, რუსეთის სახელმწიფოს ნამდვილი მტრები, ეპყრობოდნენ მტრულად. საქართველოს ეკლესიამ სულიერად შეაერთა ქართველთა სხვადასხვა ტომნი, ქრისტეს დაბადების შემდეგ VI—VII [illegible] იმის მაგიერ [illegible] დაიცვას, რომ თვით [illegible] გამოვიდა მათ შორის განხეთქილების მთესველად და სამეგრელო არჩეულ იქნა ამ განხეთქილების სათავედ. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ იმ დროს, როცა მთელი მოაზრე საქართველო, რომელსაც საბოლოოდ არ დაჰკარგვია რწმენა, კვნესის, რადგან უწმინდესი მისი გრძნობა შებღალულია, ამ დროს ყოვლად სამღვდელო იერარქია საქართველოს ეკლესიისა, —როგორც სჩანს ეპისკ. დიმიტრის სიტყვებიდან—არაფერი არ იცის. ყოვ. სამღ. დიმიტრიმ კარგად უნდა იცოდეს, რომ ყველგან, სადაც კი შეიძლებოდა, ქართულ ენას სდევნიდნენ საქართველოს ეკლესიებში და კიდევაც განაძევეს. სომეხს, თათარს, ებრაელს შეუძლია საშობლო ენაზე ილოცოს თავის ტაძრებში,—ქართველს კი ეს არ შეუძლია: ქართველი—მართლმადიდებელია. ქართველ კაცს ბავშობიდან უღვივ გულში სარწმუნოებრივ რწმენას. მე VIII საუკუნეში, როცა საქართველო ბიზანტიის მძლავრ პოლიტიკურ გავლენის ქვეშ იყო, ქართველები საშობლო ენაზე ლოცულობდნენ და ბერძნულ ლოცვათაგან მხოლოდ ერთი „კირიელეისონი“ იცოდნენ. იმ სისტემის მოქმედების დროს კი, რომელსაც იცავს ყოვ. სამღ. დიმიტრი, საქართველოს შუა-გულში, ქუთაისს, ვაჟთა გიმნაზიაში ცხრა წლის განმავლობაში ჩვენ მხოლოდ რამდენჯერმე გაგვაგონეს ქართულ ენაზე ლოცვა—„უფალო შეგვიწყალე“—თუმცა ჩვენი მღვდელი ქართველი იყო და მოწაფეების ცხრა მეათედი ქართველები ვიყავით.

დასასრულ ყოვ. სამღ. დიმიტრიმ წინადადებით მიმართა ბ. ნ. დურნოვოს—დაეკითხოს ყოფილ ეგზარხოსებს და სთხოვოს „განუმარტონ სხვა-და-სხვა გაუგებარი საკითხები საქართველოს ეკლესიების შესახებ“. საქართველოს ეგზარხოსები და იერარქნი, მგონია, იმიტომ იყვნენ დადგენილნი, რომ პრაქტიკულად გადაეწყვიტათ ეკლესიის საყურადღებო საკითხები და არა იმიტომ რომ post factum (როცა საქმე უკვე შესრულებულია) თეორიული მსჯელობა ექონიათ საქართველოს ეკლესიის შესახებ, რომელიც თვით ამ იერარქთა ყალბმა მოქმედებამ ჩააყენა დღევანდელ მდგომარეობაში და არა ქართველებმა, არა ქართველთა სამღვდელოებამ, რადგან ნამდვილ ქართველთ აშორებდნენ საქართველოს ეკლესიას და საქართველოს განათლებულნი შვილნი კი დღესაც ამაოდ [illegible] შემდეგს: 1) რატომ დღემდისაც არ არის ქართულ ენაზე სწორი გამოცემა დაბადებისა და სახარების, არც გამოცემა ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ნიმუშებისა სასულიერო უწყების თაოსნობით განხორციელებული? 2) რატომ არა მარტო საქართველოს სამღვდელოთა შორის, არამედ საქართველოს იერარქის უმაღლეს წრეშიაც არავინ არის საქართველოს სასულიერო მწერლობისა და საეკლესიო ისტორიის ნამდვილი მცოდნე? 3) რატომ [illegible] იქნა ვთქვათ „არა-პოლიტიკური მოსაზრებით“, არამედ „თავის ნებით“ ყოვლად სამღვდელო [illegible] საქართველოს სამღვდელოების შუამდგომლობა რუსეთში საქართველოს საეკლესიო ისტორიის ერთი კათედრის დაარსების შესახებ და დაარსებულ იქმნა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში კათედრა საბერძნეთ აღმოსავლეთის ეკლესიის ისტორიისა ეკლესიათა განცალკევების შემდეგ—საქართველოს ეკლესიის ისტორიასთან ერთად და ამ კათედრაზე დანიშნულ იქმნა მეცნიერი, რომელმაც ქართული ენა არ იცის, მაშასადამე არ შეუძლია შეისწავლოს საქართველოს ეკლესიის ისტორია, რადგან უმთავრესი წყაროები ქართულ ენაზე არიან დაწერილი, თარგმნილნი არ არიან და უმეტესი ნაწილი გამოუცემელია. 5) რა მიზეზია, რომ სომეხთა ეკლესია, რომელიც ამ ასის წლის წინად პოლიტიკურად ქართულ ეკლესიაზე უფრო შევიწროებული იყო იმავე რუსეთში, მაგრამ რახან თავის თავს თვითონ განაგებდა, შედარებით უფრო აყვავებულია და ნამდვილად ემსახურება სომხის ერს და ყოველ ღონისძიებას ხმარობს, სხვა-და-სხვა დაბრკოლებათა მიუხედავათ, დააკმაყოფილოს ერის სულიერი მოთხოვნილება ქართული ეკლესია-კი... სად არის ქართული ეკლესია? არ არის ქართული ეკლესია. არიან მაღალი იერარქნი და მოძღვარნი საქართველოს ეკლესიისანი.

პროფ. ნ. მარრი.

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2796.

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

13 აპრილი

საიგონი, 12 აპრილი „ჰავასის“ კორესპონდენტი ტელეგრაფით იუწყება კამრანიდან, კამრანთან, კვირა საღამოს, ჩაიარა ოცამდე სამხედრო გემმა, როგორც ეტყობოდა, იაპონიისაო. რუსებმა გზაში დაიჭირეს ორი გემი, ბრინჯით დატვირთული, რომელნიც საიგონიდან იაპონიაში მიდიოდნენ. რუსის აფიცრებმა განაცხადეს, როჟესტვენსკის ესკადრამ გადასწყვიტა იბრძოლოს, დაამარცხოს იაპონელები, ჩასძიროს მათი გემები და მათთან ერთად თვითონაც დაიღუპოს, თუ ეს საჭირო იქნებაო. თვითეულ გემს თავისი საკუთარი დანიშნულება აქვს. იაპონელების საადმირალო გემი სპეციალურ სატაქტიკო პლანის საგანი იქნება.

ტოკიო, 12 აპრილი. „ბერლ. ტაგებლ.“ იუწყება, რადგანაც შესაძლებელია მომავალში გაძნელდეს ზღვით თავისუფალი მიმოსვლა, ამიტომ იაპონელებს, თავიანთ პორტებიდან გამუდმებით გადაჰყავთ უკანასკნელ ხანებში ჯარები და გადააქვთ ზარბაზნები და საომარი სურსათი მანჯურიისთვისო.

სინგაპური. („რეიტ.“). დაატყვევეს არტილერიის აფიცერი კინგი, რომელსაც სამხედრო სამართალში მისცემენ ორვიჩის დაფარვისთვის. ორვიჩმა განაცხადა, რუსის კონსული 400 დოლლარს გადიხდის [illegible] არ მიიღო.

პენანგი, 12 აპრილი (რეიტ.). [illegible] ბალტიის ესკადრა ჩაიარსო. მთავრობა გაფაციცებით სდარაჯობს პენანგისაკენ მომავალ გზებს.

ცზინტაო, 12 აპრილი (რეიტ.). რუსის აქაურმა აფიცრებმა საჩქარო ცნობები მიიღეს. ბალტიის ესკადრა კამრანიდან გავიდა და სამხრეთით გაემართა, რათა მესამე ესკადრას შეუერთდეს.

ტანგოი, 12 აპრილი (დეილი-მეილი). რუსის რამდენიმე კრეისერი კამარნიდან გავიდა და ბუხტის გარეშე დადგა; შიგ ბუხტაში კი ისევ დგას ორი სამ-მილიანი კრეისერი. ხმებია, რუსებმა საოპერაციო ბაზა ხაინანში გადაიტანესო.

ჰონკონგი, 12 აპრილი (დეილი-მეილი). ბრიტანიის გემ „ბიჩლი“-ს კომანდამ უარი განაცხადა მუშაობაზე და არ მიიღო ერთის თვის ჯამაგირი, რომელიც მას შესთავაზეს. „ბიჩლიმ“ სცადა გასულიყო ორშაბათს გონკონგიდან უქალალდებოთ. აქაური მთავრობა თვალ-ყურს ადევნებს.

შანხაი, 13 აპრილი. იაპონიის საგენერლო კონსულმა ოდაგირამ ტელეგრაფით მოითხოვა, იაპონიაში დატყვევებულ იქნას ჩინელთ დიდ გაზეთის „სინვანპო“-ს გამომცემელი იმ სტატიებისთვის რომლებითაც იგი შიშის თვალით უყურებს იაპონიის პროპაგანდას ჩინეთში და რომლებიც ამხილებენ იაპონელებს და ეჭვს აცხადებენ მათის გამარჯვებაში, რადგანაც რუსის ფლოტი მოსულია უკვეო.

ლონდონი, 12 აპრილი. („რეიტერი“). მერმა ორთქლ-მავალ გემ „აიაქს“-ის კაპიტანს ბეტს გადასცა სასიგარე, ბრილიანტებით მოვარაყებული; ეს სასიგარე რუსეთის მთავრობისაგან აქვს ნაჩუქები კრეისერ „ვარიაგ“-ის მეზღვაურთ ჩემულპოში სამსახურის გაწევისთვის.

ადესა, 12 აპრილი. ბოროტ-გამზრახველებმა ხმები დაჰყარეს, ვითომც ვინმე აღმატებულ პირს ათი ათასი მანეთი გამოეგზავნოს პეტერბურგიდან ომში წაყვანილ სათადარიგო ჯარის კაცთა ოჯახებისთვის დასარიგებლად სადღესასწაულოდ; ამიტომ მათი ცოლები შეიკრიბნენ, დღეს, ქალაქის გამგეობასთან, ფული მოითხოვეს, კარები შეამტვრიეს გამგეობაში შეჭრას აპირებდნენ, დაღეწეს ფანჯრები და ისროდნენ ქვებს; მხოლოდ მაშინ დაიშალნენ, როცა ქალაქის თავმა, როგორც თავმჯდომარემ სათადარიგო ჯარის კაცთა ოჯახების დამხმარებელ საზოგადოებისამ, დაურიგა ქალებს კაი ძალი ფული.

რომი. კონსულა კრებაზე დადგინდა, რომ შეუძლებელია ამ ჟამად კრიტოსის შეერთება. წარუდგენენ პრინც გიორგის ზომებს კუნძულის დასამშვიდებლად.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან.

13 აპრილი

პეტერბურგი. შორეულ აღმოსავლეთიდან, 12 აპრილს, არ მოსულა ოფიციალური ცნობები.

გუნჩულინი., 13 აპრილი. (საკუთ. კორესპ.). დაჟინებით ამბობენ, კაიუანის სამხრეთით [illegible], მაგრამ არავინ კი არ ამოწმებს ამ ხმებს. [illegible] ვენი რაზმი [illegible] აღმოსავლეთით [illegible] ბატალიონი და კავალერიის ერთი პოლკი იძულებული გახადა ჩვენმა არტილერიამ დაეწვა ხურსათის საწყობი და წასულიყო უდელტეხილისკენ. მეორე დღეს, ჩვენს რაზმს, სოფ. ერხოლუს რომ გასცდა, სროლა დაუწყეს და ტყვიები სტყორცნეს იაპონელებმა და მოვიდნენ ზედ ჩვენზე. რაზმმა დაიხია ხაიშიმისკენ. ჩვენ . მცირე ზარალი მოგვივიდა.

ტოკიო. იაპონელებმა 52 სარეზერვო ბატალიონიდან 52 პოლკი გადააკეთეს, რომელნიც მეექვსე და მეშვიდე არმიებს შეადგენენ. ბარონი ხოტენგავა, რომელიც დღემდე კორეის ჯარებს სარდლობდა, ერთ ამ არმიათაგანის სარდლობას მიიღებს. კორეიდან ოიამას, აგერ რამდენიმე კვირაა, გაეგზავნა მაშველი ჯარები, რომელნიც ამ ჟამად ჯერ კიდევ გზაში არიან.

ჰონკონგი, 12 აპრილი. ტოგო უკ მივიდა ახლოს რუსის ესკადრასთან, მაგრამ მას განზრახვა აქვს, ჯერ დააზიანოს რუსის გემები ნაღმებით და მერმე შეეტაკოს მათ.

გონკონგი. იუწყებიან, 8 აპრილს, ტრანსპორტმა სხვა და სხვა ტვირთი მიიღო საიგონშიო.

ტოკიო. ამას წინად, როცა კრიზისი იყო საფრანგეთისაგან ნეიტრალიტეტის დარღვევის საკითხის შესახებ, ინგლისის მთავრობამ სურვილი განაცხადა, მხარი დაუჭიროს იაპონიას. გონკონგიდან, 6 აპრილს, სრულის სიჩქარით გავიდა ინგლისის ორი სამხედრო გემი კამრანის ბუხტისაკენ. აქ ფიქრობენ, ბალტიის ესკადრა ტონკინის ბუხტაში იმყოფებაო.—თანხმად ტოკიოდან მოსულ დეპეშისა, ჩინელებმა რუსის გემები აღმოაჩინეს ხაინანთან რომელნიც ნახშირს უღებდნენ. თუ ეს ცნობა სწორია, მაშინ ჩინელებს ორნაირი პასუხის გება აწევთ თავზე: მათ უნდა დააშალონ რუსის გემებს „ასკოლდ“-სა, „გროზოვოი“-ს და „მანჯურ“-ს შანხაიდან წასვლა და უნდა იზრუნონ, რომ რუსები კანონიერ ვადაზე მეტს ხანს არ დარჩნენ ხაინანში.

პეტერბურგი. ლინევიჩის დეპეშა 1905 წ. 13 აპრილის თარიღით: „9 აპრილს ჩვენმა წინა რაზმებმა იძულებული გახადეს მტერი გაეწმინდა სოფ. ნანჩენზუ და ველიანპუმინი, რის შემდეგ იაპონელებმა დაიჭირეს გამაგრებული პოზიცია, ველანპუმინის სამხრეთით. ჩვენი რაზმი გაჩნდა მტრის მარცხენა ფრთის პირ-და-პირ და არტილერიის დახმარებით იძულებული გახადა იაპონელები ჩქარა დაეხიათ უკან კაუნჩენისაკენ, ამასთან მათ დასწვეს სოფელში თავისი საკვები საწყობი. 10 აპრილს ჩვენმა ჯარებმა განაგრძეს მტრის შევიწროვება და, იძულებული გახადეს იგი დაეხია კაიუანჩენისაკენ; იმავე დღეს ჩვენმა მეორე რაზმმა შეავიწროვა მტერი და მივიდა თვით ქალაქ ჩანტუფუსთან, რომელიც ძლიერ გამაგრებული აღმოჩნდა იაპონელთაგან. ჩვენმა არტილერიამ აღმოსავლეთიდან ზარბაზნები დაუშინა ქალაქს და, როცა გამოირკვა, რომ იგი მაგრადაა დაცული, უკან დაიხია. ცხენოსანმა რაზმმა დაანგრია ტელეგრაფის მავთულები კაიუანსა და ჩანტუფუს შორის.

კოპენჰაგენი. ისლანდიაში ოქროს მადანს მიაგნეს. აღმოჩენამ სენსაცია გამოიწვია. აარსებენ ამხანაგობას მადანის დასამუშავებლად. ინგლისიდან მადანის მუშებს ელიან.

კანეია, 12 აპრილი. ნაციონალურმა კრებამ შეთანხმება მოახდინა ინსურგენტებთან და მიიღო რეზოლიუცია, რომელიც დაჟინებით ითხოვს კუნძულის საბერძნეთთან შეერთებას და იწვევს მთავრობას, იხელმძღვანელოს დროებით არსებულ კანონებით.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ 25 აპრილს 12 საათზე მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით გაიცემა ქალაქის მიწის ნაჭერი, ზომით 600 ოთხკ. საჟენი, მე-10 პოლიციის ნაწილში, ტფილისს, ტფილისის დამოჯნის პირდაპირ. ვისაც ვაჭრობა სურს, შეუძლიან პირობები გასინჯოს გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა. დილის 9½-დან 2½ საათამდე. (3—6.—2)

„პატარა-კახი“

სარდაფი კახურ ღვინოებისა, **დავით როსტიაშვილისა**, მოთავსებულია მე-10 ნაწილში, ავჭალის ქუჩაზე, მალაკნების მოედნის პირდაპირ, ზარნიკოვის მამულში № 115. ღვინოებია სხვა-და-სხვა სოფლების: ჩაილურის, მანავის, თიანეთის და ხაშმის. ამ სააღდგომოთ ვედროა 1 მ. 50 კაპ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80 კ., 2 მანეთ. ვიდრე 3 მანეთამდის. თუნგი 50, 60, 70, 80 კ. ვიდრე 1 მანეთამდის. ბოთლი 10, 12, 14, 15, 16, 20, 25, 30 ვიდრე 40 კაპეიკამდე. (3—173—2)

„კურდღელაური“

კახური ღვინოების სარდაფი, ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ დღესასწაულებისათვის მიღებული სხვა-და-სხვა ჯურის ღვინოები. მსურველთ დაკლებულ ფასებში დაეთმობათ: ბოთლი 20 კაპ. ღირებული 17 კაპეიკად, 25 კაპ.—22 კაპ., და ასე დაკლებით. ვედრო 1 მ. 50 კაპ., თუნგი 60 კაპ. მსურველთ უნდა მიჰმართონ ჩუღურეთში: რიყის ქუჩაზე გაბაევის სახლი № 6.

პატივისცემით **ა. ი. ხახუტოვი** ტფილისში. (3—174—2)

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის
# ავეჯეულობათა სავაჭროში
(მიხეილის ქუჩა № 97)

დღესასწაულების მოახლოებისა გამო დანიშნულია **იაფი ვაჭრობა** ყოველ გვარ ავეჯეულობაზე გარდაწყვეტილი ფასია დადებული

მიიღება შეკვეთილებაც როგორც ავეჯეულობათა, აგრეთვე საალმშენებლო საქმეებისაც **ამხანაგობის ქარხანაში** (ელისაბედის ქუჩა სახლი № 25). მაღაზიის გამგე ი. რუსიშვილი, ქარხნის გამგე გ. ბერძენიშვილი გამგეობის თავმჯდომარე გრ. თოიძე. (8—6)

✦ კბილის ✦

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. **ზ. მ. იოხველი**. მიხეილის ქ., №108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—172—5)

განცხადება

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ სახელოსნო-ქარხანაში [illegible]

საკერავი მაშინები

[illegible] მოწყობილობით.

ფასი ძალიან იაფია

ხელ-მოკლე მუშტრებს [illegible] ნისიად, რომელთაც შეუძლიანთ წვრილ-წვრილად გადაიხადონ [illegible]

(15—11)

პატივის-ცემით ზ. ა. [illegible] და ძმანი ჯუღელები.

კავკასიის საბრეშუმო სადგურის საწყობში (ტფილისი, მუშტაიდი) იყიდება
✦ ცელულიარული გრენა ✦
(აბრეშუმის თესლი)

თეთრი და ყვითელი ჯიშისა—მისხალი 40 კაპ.; ჭიის გამოკვების, თესლის დამზადების, აბრეშუმის ძაფის ამოხვევის და საფეიქროსათვის საჭირო მანქანები და იარაღი, მეაბრეშუმეობის სახელმძღვანელოები და კოლექციები.

ფუტკრის გაშენებისათვის საჭირო იარაღი და მანქანები: სკები, ხელოვნური ფიჭა, თაფლის საქაჩავი, სხვა-და-სხვა სისტემის სკების გეგმები, სახელმძღვანელოები და სხვა საჭირო საგნები. პრეისკურანტი უფასოდ (15—6.—8)

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, ოკოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

ვთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის

სავაჭრო სახლის

„ლეოპოლდ ნეიშელლერ“-ის საწყობში.

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—Б.—19)